№ 144

ოთხშაბათი, 17 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 144

ოთხშაბათი, 17 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთ. მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

რედაქცია აუწყებს ხელნაწერების იმ ავტორებს, ვისთანაც წინდაწინვე გარიგებული არ არის, რომ ყოველ წერილს, რომელზედაც აღნიშნული არ იქნება ავტორის პირობები ჰონორარის შესახებ, რედაქცია უფასოდ ჩასთვლის და, თუ დაიბეჭდა, ჰონორარს არ გადიხდის.

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების „შრომა“-სი ამით აცხადებს, რომ სწავლა საზოგადოების სამეურნეო სკოლაში განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამ სამოსწავლო წელში გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ას ოცდა ათი მანათი (130 მ.) და გარედან მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანათი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა იქმნეს დაწერილი სკოლის გამგის სახელობაზე.—ფოსტის ადრესი: Секретарю совѣта общества „Шрома“ I. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ гор. Кутаисъ. Контора Нотаріюса Анджапаридзе.

(7—3)

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში არის მასწავლებლის თავისუფალი ადგილი.

მასწავლებელი, რომელიც მოისურვებს ემსახუროს ამ ერთად-ერთ ქართულ სამეურნეო სკოლას, უნდა იყოს გამოცდილი პედაგოგი, განვითარებული ქართულ ენასა და სხვა სამოსწავლო საგნებში. მთავრობის-მიერ დამტკიცებულ წესდებით, ამ სკოლას უფლება აქვს ექვსი წლის განმავლობაში, ყველა პროგრამაში ნაჩვენები საგნები მოსწავლეთ ქართულად ასწავლოს; რუსული ენა კი მიღებულია, როგორც საგანი.

ვინც ისურვებს ამ ადგილს, უნდა მიმართოს ქ. ტფილისში, **მზრუნველს და დამაარსებელს ამ სკოლისას, ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილს, ტფილისის ნატარიუსს.**

მასწავლებელს სადგომად მიეცემა ორი ოთახი თავის ავეჯით, შეშა, ნავთი და წელიწადში სამოცი თუმანი ჯამაგირი.

სწავლა დაიწყება ამა წლის პირველ სექტემბრიდან. იმავე დღეს დაიწყება მოსწავლეთა მიღება. მოსწავლენი ჯანმრთელნი და კარგი ყოფაქცევის უმაწვილები და ხნით არა ნაკლებ ათის წლისა უნდა იყვნენ.

(3—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ფ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აურის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана**.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

მეთაურს ეძებენ სტამბაში

მსურველმა ცნობებისათვის „ივერიის“ რედაქ. მიმართოს.

სარევოლუციო მოძრაობა პოლონელებსა და ებრაელებში

(რუსეთის სააგენტოს დეპეშა)

ვარშავასა და მის მაზრაში სამხედრო წესების გამოცხადებისა გამო, პოლიციის დეპარტამენტმა დაბეჭდა ებრაელთა „ბუნდისა“ და დასავლეთ მხარეში მცხოვრებ რუსთა სოციალ-რევოლუციონერების მოქმედების ისტორია, იმ დროიდან, რაც შარშან, რევოლუციონერები შეთანხმდნენ ერთად სამოქმედოდ. დეპარტამენტი აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ვარშავის არქიეპისკოპოსის პოპელისა და სხვა ზომიერ პოლონელთა რჩევა-დარიგებამ ვერ გასჭრა და მოძრაობას ბოლო ვერ მოუღო. ყველაზე საყურადღებოა ის უწესოებანი, რომლებიც ბელოსტოკსა და შემდეგ ვარშავაში მოხდა. 30 ივლისს, ბელოსტოკში შენიშნეს ორმოცამდე უსაქმო ახალგაზდა ებრაელი, რომლებიც უწესოების დაწყებამდე ვარშავიდანა და ლოძიდან ჩამოვიდნენ. ამ დღეს, ნაშუადღევს, ასე, სამ საათზე, სამასამდე ებრაელი უცბად ქუჩაზე გამოიფინა. მათ მეთაურობდა ებრაელივე. ბრბომ მუქარით მიაშურა სურაჟის ქუჩაზე მდგომ ჯარის-კაცს, რომელმაც თავის დასაცველად იარაღს მიჰმართა და ერთი ებრაელთაგანი დასჭრა. ბრბოს გასაფანტავად მალე მოვიდა მორიგე როტა, აფიცრის მეთაურობით. როტას ყუმბარა ესროლეს. დაიჭრა სამი ჯარის კაცი. როგორც კი გაჰარდა აფეთქების ხმა, თითქო ეს ნიშანი ყოფილიყოს, სახლის სახურავებსა, ფანჯრებსა და გამოსავალ კარებიდან ასტეხეს რევოლვერების სროლა. ესროდნენ პოლიციელთ და მათ გვერდით მდგომ ჯარის-კაცებს, ესენიც იძულებულნი შეიქმნენ სროლა დაეწყოთ, რასაც შედეგად 35 მოკლული და დაჭრილი მოჰყვა. 30 ივლისს ბელოსტოკში დახოცილთა პატივსაცემლად ვარშავის სარევოლუციო ორგანიზაციებმა საძაგელი შინაარსის პროკლამაციები გამოსცეს და ყველას იწვევდნენ, რომ 5 აგვისტოს საერთო გაფიცვა და დემონსტრაცია მოეხდინათ. ამასთანავე პოლონეთის სოციალისტური პარტია იუწყებოდა, რომ მისმა მებრძოლმა ორგანიზაციამ ოპატოვის ხაზინის გაძარცვა მოახერხა და ათი ათას მანათზე მეტი წაიღოო. ხაზინების გაძარცვა უნდოდათ აგრეთვე ქ. ქ. ვენგეროვსა და ლიუბარტოვში, მაგრამ ვერ მოუხდათ, მხოლოდ ხაზინის დამცველთაგან რამდენიმე კაცი იქმნა მოკლული. 4 აგვისტოს, საღამოთი, პირველად ზეინკლები გაიფიცნენ. 5 აგვისტოს დილით მხოლოდ ზოგიერთი ფაბრიკები-ღა მუშაობდნენ, ნაშუადღევს კი მუშაობა ყველგან შესწყდა. ამავე დროს ვიღაცამ ტელეფონით უბრძანა ვაველბერგის საბანკო კონტორას მუშაობის შეწყვეტა. ასეთივე მოთხოვნილება წარუდგინა სამმა ყმაწვილმა კაცმა უნიონი ბანკსაც. მალე ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებანიც დაიხურა. განზრახვა ჰქონდათ ქუჩებში ეტლების მოძრაობა შეეჩერებინათ და ტელეფონის მავთულები გადაეჭრათ, მაგრამ პოლიციის ზომების მეოხებით, ვერა გააწყეს-რა. 6 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ხანჯლით დასჭრეს უბნის ზედამხედველი. რვა საათზე სამმა კალატოზმა დანით რამდენიმე ადგილას დასჭრა თავისივე ამხანაგი, რომელმაც წინა დღით გაფიცვაზე უარი განაცხადა. რვა აგვისტოდან უწესოება უფრო გამწვავდა. პრივისლანის რკინის გზის სადგურ არაგოს მახლობლად მყოფ ფაბრიკების ხუთასამდე მუშა მივიდა რკინის გზის სახელოსნოებში და მუშაობის შეწყვეტა მოითხოვა, აქედან მუშები გაჰყვნენ ლიანდაგს, შეაჩერეს ორთქლმავლები, წაახდინეს ტელეგრაფის აპპარატები, დასწყვიტეს მავთულები და მოსამსახურენიც განდევნეს. ნოვო-გიორგიევსკიდან მომავალი სახალხო მატარებელი პრაგაში გააჩერეს და ვარშავაში შესვლის ნება არ მისცეს. ასევე მოხდა ბრესტსკის რკინის გზის სადგურ ვარშავაზედაც. მექანქანეთა გაფიცვის გამო, ვარშავიდან მლავასა და კოველამდე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. სადგურს ჯარი იცავდა. 9 აგვისტოს ვარშავისა და მის მიდამოების ყველა ქარხნებმა მუშაობა შესწყვიტეს. რევოლუციონერები ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდნენ. ძალით დააკეტინეს კერძო ბანკები, სახელმწიფო ღვინის საწყობები, მოსპეს ვაჭრობა და რკინის გზაზე მიმოსვლა სავსებით შეაჩერეს. რამდენჯერმე თავგამოდებითა სცადეს ქუჩებში დემონსტრაციისა და უწესოების მოხდენა, რის გამოც პოლიციასა და ჯართან შეტაკება უხდებოდათ.

სოციალ-დემოკრატების ზე-გავლენის ქვეშ, ტერორი თვით მუშათა შორისაც კი გავრცელდა. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ თვით მუშები იძულებულ შეიქმნენ თავის ამხანაგთა უკიდურესი ზომები დაეგმოთ და წინ აღსდგომოდნენ. მაგალითად, ერთმა საიდუმლო მომქმედმა ორგანიზაციამ პროკლამაციები გამოსცა და სთხოვა ამხანაგებს, ძალას ნუ დაატანთ იმათ, ვისაც გაფიცვა არ უნდაო. მეორე—სიონისტ-რევოლუციონერ ხასიათის ორგანიზაცია პროკლამაციებითვე იუწყებოდა: ის, ვინც ძალდატანებით აგროვებს ფულებს, ჩვენი მომხრე არ არისო. პოლონეთის ხელოსანი ახალგაზდობა სთხოვდა თავის თანამემამულეთ: სოციალისტები ტერორს ნუ თანაუგრძნობთო. მაგრამ ამ მოწოდება და დარიგებებმა ვერ გასჭრეს. ებრაელთა და პოლონელთა სოციალ-რევოლუციონური პარტიები თანხმობით მოქმედებდნენ და მედგარ პროპაგანდას ეწეოდნენ. ივლისის მეორე ნახევარში ებრაელთა „ბუნდმა“ დიდი უწესოებანი მოახდინა ბერდიჩევსა, ლიუბლინსა, კოვნასა, ბელოსტოკსა, ეკატერინოსლავსა და დასავლეთ რუსეთის სხვა დაბა-სოფლებში, რასაც სამხედრო წესის შემოღება მოჰყვა.

სარევოლუციო მოძრაობა დასავლეთ რუსეთში

(პეტერბურგის სააგენტოს დეპეშა)

ბალტიის მხრის ლატიშების საზოგადოებრივი მოძრაობა წარსულ საუკუნეს უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო, დღევანდლამდის მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობის მოპოვებას ცდილობდნენ, მაგრამ 1903 წლიდან დაიწყეს მოქმედება სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ლატიშელ-მუშათა კავშირმა; ამათ მოქმედებას რევოლუციონური ხასიათი მიეცა და ამ მოძრაობამ უკიდურესობამდის მიაღწია ამ წლის პირველ თვეში.

თუ რა ზომებსა ხმარობდნენ რევოლუციონერები მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს,—ნათლადა სჩანს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე ერთის კაცის-მიერ გაგზავნილ საჩივრიდან. მომჩივანი იუწყება, რომ ბრბო ძალის-ძალად ათრევდა თავის წრეში ქუჩაში მიმავალთა. მოსამსახურე პირთა და ნამეტნავად პოლიციელთა მოკვლის განზრახვა—მათი გეგმაა. ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიაში მოჰკლეს ოთხი მოხელე, თავს დაეცნენ ოთხ კერძო კაცს და ორი მათგანი მოჰკლეს; თავს დაეცნენ აგრეთვე პოლიციელებს ექვს-ჯერ, პატრულებს—სამჯერ. მოძრაობა გადავიდა მაზრებშიც. აქაც ანარქისტული მიმართულება ჰქონდა: მოკვლა, გადაწვა, მატარებლების ლიანდაგიდან გადაგდება, რკინის გზისა, ტელეგრაფისა და ტელეფონების გაფუჭება, აგიტატორთა ხელში მყოფთ მკვიდრთა ტერორიზაცია და სხვა. მარტში მოძრაობას ჯერ საერთო ხასიათი არა ჰქონდა. მოძრაობა იგი გაფართოვდა უცებ აგიტატორთა მოსვლით, რომელნიც, ადგილობრივ აგიტატორთა დახმარებით, აქეზებდნენ ქარხნისა და მინდვრის მუშებს მოეთხოვათ ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემოკლება და სხვა. აპრილის მეორე ნახევარში მოძრაობამ თავი იჩინა ლიფლიანდიის გუბერნიაში, ნამეტნავად კი კურლიანდიის გუბერნიის ვონდენსკისა და გაზენპოტსკის მაზრებში. აპრილში დემონსტრაციები ლოტრანგთა ეკლესიებშიაც კი ხდებოდა. უდიერად ბღალავდნენ მლოცველთა სარწმუნოებრივ გრძნობას, მღვდლებს კი სცემდნენ და საყდრიდან გარედ ერეკებოდნენ. მაისსა და ივლისში დემონსტრაციები თითქმის ყოველ კვირა ხდებოდა ლიფლიანდიის გუბერნიის ვენდენისა და რიგის მაზრებში და აგრეთვე კურლიანდიის გუბერნიის მიტავობაუსის მაზრაში. აქაც მოქმედებით შეურაცყოფას აყენებდნენ იმ მღვდლებს (პასტორებს) რომლებიც დემონსტრანტების მოთხოვნილებათ არ ასრულებდნენ, სწვავდნენ მემამულეთა სახლ-კარს და ორჯერ შეეცადნენ რკინის გზის გაფუჭებას. ვინაიდან რამდენიმე ადგილას ეკლესიები წაიბილწა, იენიში, კონსისტორია იძულებული შეიქმნა განკარგულება მოეხდინა ეკლესიების დროებით დახურვის შესახებს, მაგრამ რევოლუციონერები ეკლესიებში დემონსტრაციებს მაინც ახდენდნენ. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დემონსტრაციები ხდებოდა მუშათაგან, სარევოლუციო ორგანიზაციების წაქეზებით. 1 ივლისს, ლიბავაში, იმ დროს, როდესაც პასტორი მლოცველებს სამღვთო წერილს უხსნიდა, საყდარში შევიდა ექვსი კაცი, პასტორს გვერდით ამოუდგა და უხმაწურად გადაკეთებული ლოცვა წაიკითხა, ხოლო, როდესაც მღვდელმა გარედ გასვლა სთხოვა, იგი დანით დასჭრეს. ლიბავაშივე განიზრახეს გოროდოვოის მოკვლა. 15 ივლისს პრაუფელის ტყეში ჩაუსაფრდნენ კაზაკთა რაზმს, რომელსაც დაუჭრეს ურიადნიკი, მოუკლეს ოფიცერი და სამი ცხენი. 16 ივლისს, ვოლმარის მაზრის ლიდერნის ბაზრობაზე მოჰკლეს პოლიციელი და ურიადნიკი, მეორე დღეს, ვენდენშიც იპოვნეს გვამი მოკლულის ურიადნიკისა. 22 ივნისს დამოენის მოხელეებმა შეიპყრეს ვიღაც უცნობი, რომელსაც გერმანიის გემიდან აკრძალულ გამოცემათა მთელი ტრანსპორტი გადმოჰქონდა. როცა ჟანდარმსა და სტრაჟნიკს ეს დამნაშავე ციხეში მიჰყავდათ, ვიღაც სამმა კაცმა სროლა ასტეხეს. მძიმედ დაიჭრა თვით დამნაშავე და სტრაჟნიკი. ივნისის გასულსა და ივლისში მოძრაობა ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიების სოფლებსაც მოედო და საშიშარი სახე მიიღო. ამ დროს მოჰკლეს მაზრის უფროსის თანაშემწე შმიდტი. მთელის თვის განმავლობაში კიდევ რამდენიმე მკვლელობა მოხდა. 29 ივნისს მოჰკლეს ლიბავის მაზრის გლეხთა კომისარი, ხოლო 17-ს—მემამულე ბარონი ადოლფ ბისტრომი. 12 ივლისს მოძრაობა დაიწყო რიგის მაზრაში—სადგურ რომერგოვის მახლობლად რვა მამულში და სადგურებ კოკენგუზენისა, რინმუნგსდორფისა და ესგეველბოდშის მახლობლად—14 მამულში. მოძრაობის გავრცელებას ხელი შეუწყეს რიგიდან მოსულმა აგიტატორებმა. მოძრაობამ ყველაზე უფრო თავი იჩინა რიგისა და ვონდონის მაზრებში 10—13 ივლისს. ადგილობრივი მთავრობა იუწყებოდა, რომ მაზრაში სრული ანარქიაა. ვინდენის მაზრის ოტნენის ვოლოსტის სამმართველოში დახიეს მეფის სურათები, მამასახლისსა და მწერალს კი წითელი დროშები ატარებინეს. კურლიანდიის გუბერნიაში ბოროტ მომქმედებმა გადასჭრეს ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები. რევოლიუციონერების მეთაურობით გლეხთა მოძრაობა დაიწყო დებლენისა ვინდავისა, მიტავობაურისა, ფრიდრიხშტადტისა, ტუკუმისა, გოდინგონისა და გრობინსკის მაზრებში. ადგილ ადგილ ჰირნახული მინდვრებში დარჩა. შეიარაღებული ბრბოები მინდვრებიდან მუშებს ერეკებიან, რევოლვერებს ესვრიან, თავს ესხმიან მემამულეთა სახლ-კარს, სწვენ ძნებს, შენობებს, სოფლის სასამართლოთა ჯარში გასაწვევთა შესახებ საბუთის ქაღალდებს. ამ ბოლო დროს მოძრაობის რამდენიმე მეთაური შეიპყრეს ადმინისტრაციის აზრით. მოძრაობა საშიშარი ხდება და მწვავდება რიგიდან მოსულ აგიტატორთა მეოხებით. რიგაშიც საქმე ძალზე გამწვავებულია. ზემოდ ჩამოთვლილმა ამბებმა მთავრობა იძულებულ ჰყო კურლიანდიის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოეცხადებინა.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 აგვისტო.

სტამბოლი, 14 აგვისტო. თათრებმა მრავალი სომეხი ამოსწყვიტეს. სომხებმაც ორი მეჩეთი დასწვეს. ელჩები სთხოვენ პორტას, სისხლის ღვრა დაუყონებლივ შეწყვეტილ იქმნას.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საერობო სამმართველოებს, განიხილონ საკითხი საგლეხო იურიდიულ კონსულტაციის შესახებ. სენატის კრებები საჭირო უნდა იყოს და კრებების დადგენილებაც—გამოცხადებული.—წითელი ჯვარის აღმასრულებელმა კომისიამ აღძრა საკითხი მოუსავლობისა გამო დაზარალებულ გუბერნიებს დახმარება აღმოუჩინონ. პეტერბურგის საგუბერნიო საერობო სამმართველომ დაადგინა იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა სამინისტროში—ნება დართონ აღმომრჩეველთა რამდენიმე კრება იმ მაზრებში, რომლებშიაც—მარტო ერთი ქალაქია. ეს კრებები სამაზრო კრების დამოუკიდებლად უნდა მოხდეს. ხმა დადის, რომ გზათა სამინისტროს შესაძლებელად დაუნახავს გადასახლებულთათვის დანიშნული იაფი ტარიფით სარგებლობის ნება საზღვარ-გარეთ დასასახლებლად მიმავალთაც მიეცეთ.

პარიზი, 13 აგვისტო. გაზ. „ტან“-ი უარსა ჰყოფს ვითომ გადაწყვეტილი იყოს მაროკკოს ნაპირების დაპყრობა და აცხადებს, რომ სულთანის პასუხი, რომელიც სამშაბათს უნდა მივიღოთ, იმედია, საქმეს ძალის ხმარებაზე არ მიაგდებსო.

სოფია, 13 აგვისტო. გუშინ თავადი სრულიად მოულოდნელად მოვიდა. ინგლისის მეფეს არ ინახულებს და პარიზში გაემგზავრება, სადაც სამეფო პატივით შეხვდებიან.

სალონიკი, 13 აგვისტო. ბერძნებმა ბულგარელებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

მოსკოვი, 13 აგვისტო. გუბერნატორმა წინადადება გაუგზავნა ქალაქისა და საერობო სამმართველოებს, სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ამომრჩეველთა სია შეადგინონ. პირველ დაწყებითი სკოლებისათვის შენობების ასაგებად ქალაქის ერობა შუამდგომლობს, ხე-ტყე სახელმწიფო ტყიდან დაუთმოს.

ოდესა, 13 აგვისტო. ქალაქის მთავრობა შუამდგომლობს, ოდესა ერთ, დამოუკიდებელ ერობად იქმნას აღიარებული.

მინსკი, 13 აგვისტო. ამ მოკლე ხანში შეუდგებიან ფართო ლიანდაგის რკინის გზის გაყვანას. გზა დაიწყება სადგურ ლოშიციდან და გაივლის პინსკისა და სლუცკის მაზრებში.

სარატოვი, 13 აგვისტო. საბჭო და ბირჟის კომიტეტი სთხოვს ფინანსთა მინისტრს სისრულეში მოუყვანილი არ იქმნას განზრახული ნავთზე ფასის დადება რადგან ეს ვაჭრობას მრეწველობასა და მცხოვრებლებზე ცუდ გავლენას იქონიებსო.

სვინემიუნდე, 15 აგვისტო. ინგლისის ესკადრა სრულიად მოულოდნელად, ოდეს დილის მაგივრად, კვირას მოვიდა.

სტამბოლი, 14 აგვისტო. წარსულ შაბათს უსკიუბის ვილაიეტში მეოცე ბოლგის რაზმს 18 ქრისტიანე მოუკლავს და თექსმეტი დაუჭრია.

ტანჟერი, 14 აგვისტო. ფესიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, დატუსაღებული ალჟირელი ჯერაც არ გაუნთავისუფლებიათ.

კოვნო, 15 აგვისტო. „კოვნენსკი ტელეგრაფ“-ში დაბეჭდილია, რომ, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის და ვილნის, კოვნოს და გროდნოს გენერალ-გუბერნატორების ბრძანებისა, კოვნოს გუბერნიაში 15 აგვისტოდან შემოღებულ იქმნა გაძლიერებული დაცვის წესები.

პარიზი, 14 აგვისტო. გარეშე საქმეთა სამინისტრო პასუხს ალჟირელის დატყვევების შესახებ მაროკკოსაგან დღეს ელის.

რომი, 14 აგვისტო. მინისტრ-პრეზიდენტი ფორტისი რომში ხვალ დაბრუნდება და ენკენისთვის პირველ რიცხვებიდან მინისტრთა კრების თავ-მჯდომარეობას შეუდგება.

პეტერბურგი, 15 აგვისტო. გაზეთების ცნობებით, საპუროვის რჩევას გადაუწყვეტია, იშუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე, რომ სენატს რევიზიების დანიშვნის ნება მიეცესო.—სახელმწიფო სათათბიროს სხდომები, როგორც ფიქრობენ, თავად-აზნაურთა საკრებულოს დიდს დარბაზში მოხდება ხოლმე.

პეტერბურგი, 15 აგვისტო. 1) უმაღლესი ბრძანება სამხედრო მინისტრის სახელზედ: „შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ჯარის გასაძლიერებლად საჭიროდ დავინახეთ რა სამხედრო ფეხზე დავაყენოთ, გავაფართოვოთ, შევავსოთ და შევადგინოთ ზოგიერთა სამხედრო ნაწილები და დაწესებულებანი, გიბძანებთ თქვენ, ამასთანავე ბოძებულ წესისამებრ, დაუყონებლივ მოახდინოთ საჭირო განკარგულებანი.“ დედანს მის უდიდებულესობის ხელით აწერია „**ნიკოლოზი**“. 2) უმართებულესს სენატს. შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ჯარის გასაძლიერებლად საჭიროდ დავინახეთ-რა სამხედრო ფეხზე დავაყენოთ, გავაფართოვოთ, შევავსოთ და შევადგინოთ ზოგიერთა სამხედრო ნაწილები და დაწესებულებანი, რის ბძანებაც მივეცით სამხედრო მინისტრს, განკარგულებათა მოსახდენად, მასთან ერთად გიბძანებთ თქვენ. 1) თანახმად ამ გვარ შემთხვევათათვის არსებულ სამობილიზაციო სიების განსაკუთრებულ ცვლილებათა, ნამდვილ სამსახურში გამოიწვიოთ სათადარიგო ჯარის კაცნი. ვილნოს სამხედრო ოლქში სამხედრო ფეხზე უნდა დადგნენ ვილნოს გუბერნიის შემდეგი მაზრები: ვილნოსი, დისნოსისა, ლიდსკისა, ოშმიანსკისა, სვენციანსკისა და ტროკსკისა. გროდნოს გუბერნიაში: გროდნოს მაზრა. კოვნოს გუბერნიაში: კოვნოსი, ვილკომირისა, პონევეჟისა, როსსიანისა, ტელშევსკისა და შავლისა. კურლიანდიის გუბერნიაში: მიტავისა, ბაუსკისა, ვინდავისა და ფრიდრიხშტადტისა, ლიფლიანდიის გუბერნიაში: რიგისა და ქალაქი რიგა. ყაზანის სამხედრო ოლქში. პერმის გუბერნიის მაზრები: პერმისა, კამიშლოვისა, შადრინსკისა, ოხანსკისა, ვერხოტურისა, ოხმისა, ოსისა, კუნგურისა, ჩერდინისა, ეკატერინბურგისა, სოლიკამსკისა, ვიატსკისა, გლაზოვისა, ორლოვსკისა, სლობოდსკისა, ელაბუგისა, სარაპულისა, კოტელნიჩესკისა, ურჟუმისა და იარანსკისა. სიმბირსკის გუბერნიის: სიმბირსკისა, არდატისა, ბუინსკისა, კორსუნისა, კურმიშისა და სიზრანისა. სარატოვის გუბერნიის: სარატოვისა, ატ-

ფარისა, ვოლსკისა, კამიშინისა და ხვალინისა. ორენბურგის გუბერნიის: ჩელიაბინსკისა, ვერხნეურალსკისა, ორსკისა, ტროიცკისა. ასტრახანის გუბერნიის: ასტრახანისა და ცარევისა. უფას გუბერნიისე: უფასი, ბელობეისასა, ბირსკისა, მონზელინისა და სტაროტიმარსისა. დონის ოლქის: დონის პირველი, დონის მეორე, დონისა, როსტოვისა, ტაგანროგისა, უსტ-მედვედიცისა, ხოპერსკისა, ჩერკასკისა. თანახმად პირველ მუხლში აღნიშნულ წესისა არსებულ სამობილიზაციო სიის კერძო ცვლილება სამხედრო საჭიროებისათვის აღწერილ ცხენების გამოყვანას შესახებ უნდა შესრულდეს შემდეგ გუბერნიებსა და მაზრებში. პეტერბურგის სამხედრო ოლქში. პეტერბურგის გუბერნიის ცარსკო-სელოის მაზრაში. ნოვგოროდის გუბერნიისა ნოვგოროდისა და ჩერეპოვეცკის მაზრებში. პსკოვის გუბერნიაში: ველიკო ლუცკისა, და ნოვორჟევის მაზრაში. ლიფლანდიის გუბერნ: ვალკისა, ვენდენისა, ვერროსისა, ველმორისა პერნევისა ფელინის მაზრებში. მოსკოვის სამხედრო ოლქში. ტამბოვის გუბერნიაში. ვარშავის სამხედრო ოლქის გუბერნიებში ვარშავისა, სედლეცისა, და ბელგიისა მაზრებში. ლუბლინის გუბერნიის: ლიუბლინისა, რადომისა და კოზენიცის მაზრებში: კოჩენაცის მაზრებში, გროდნოს გუბერნიისა კიევის სამხედრო ოლქში კიევის გუბერნიის ბერდიჩევისა და ლიპოვეცკის მაზრებში. პოლტავის გუბერნიის: ლეხოვეცკისა და ზეიკოვის მაზრებში. კურსკის გუბერნიისა: სუდჟანასა და სტარო-ოსკოლსკისაში. ჩერნიგოვის გუბერნიის გლუხოვის გაზრაში. ვოლინის გუბერნიის ოსტროგორკისა და ნოვოგრადვოლინისა და ზასლავსკის მაზრებში. პოდოლის გუბერნიის იამპოლის მაზრაში. მაგილევის გუბერნიის გაისინსკის მაზრაში. ოდესის სამხედრო ოლქში: ხერსონის გუბერნიის ოდესის გრადონაჩალსტვოთი, ანანიევსკისა, ალექსანდროვსკისა და ელისავეტოგრადის მაზრებში. ეკატერინოსლავის გუბერნიის ბახმუტისა, სლავიანო-სერბიისა და მარიუპოლის მაზრებში. ბესარაბიის გუბერნიის აკკერმანის მაზრაში ტავრიჩესკი გუბერნიის ბერდანსკის მაზრაში. 3) თანახმად არსებულის სამობილიზაციო სიის იმავე ცვლილებისა, გამოწვეულ იქმნას საჭირო რიცხვი სათადარიგო ჯარების მხოლოდ ზოგიერთა კატეგორიები შემდეგ გუბერნიებში: მინსკის გუბერნიის მინსკისა, ბობრუისკისა, ბერნსოვისა, იგუმენისა, მოზირისა, ნოვოგრუდისა, პინსკისა და რეჩიცის მაზრებიდან. მოგილევის გუბერნიის გომელისა და როგაჩევის მაზრებიდან. ვიტებსკის გუბერნიის დვინსკის მაზრიდან. გროდნოს გუბერნიის პლონიმსკის მაზრიდან. 4) სამსახურში გამოწვეულ იქმნენ ყველა ის სათადარიგო აფიცრები, რომლებიც, თანახმად არსებულის წესისა, საჭიროხი არიან ჯარში აფიცრების დანაკლისის შესავსებლად. გამოწვეულ იქმნან აგრეთვე ის სათადარიგო დაბალი ხარისხის კაცნი, რომლებთაც ნება აქვთ დაიკავონ აფიცრებისა და მოხელის ადგილი. უმართებულესმა სენატმა დაუყოვნებლივ უნდა აასრულოს ეს ბრძანება.

„ნიკოლოოზ".

რიგა, 15 აგვისტო. რადგანაც ტრამვაის საზოგადოება და მოსამსახურენი შეთანხმდნენ, მუშაობა განახლდა

კიშინევი, 15 აგვისტო. გუბერნატორმა მიიღო ქალაქის მოურავის განცხადება, მხარი დაუჭიროს ებრაელთა შუამდგომლობას მათ საარჩევნო უფლების მოწეს-რიგების საქმეში.

მიტავა, 14 აგვისტო. ქუჩებში გაკრულია გენერალ-გუბერნატორის დადგენილება, რომლითაც აკრძალულია ერთად თავის მოყრა, ველოსიპედებით სიარული, ნებადაურთველად იარაღის ტარება, ტელეგრაფისა და ტელეფონის გაფუჭება და ძალ-მომრეობით მუშაობის შეწყვეტა, დამნაშავეს გადახდება 3,000 მანათამდე ჯარიმა, ან 3 თვით იქმნება დაპატიმრებული. გამოცხადებულია, რომ ერთად თავმოყრილს ხალხს თოფის სროლას დაუწყებენ. თოფს ესვრიან, აგრეთვე ველოსიპედებით მოსიარულეთ, თუ პოლიციის პირველსავე ბრძანებით არ გაჩერდნენ. შემოღებულია შეგზოვეთა მორიგეობა, ალაყაფისა და შესავალი კარებები იკეტება საღამოს 9 საათზე, სასტუმროები, რესტორანები და ბუფეტები 8 საათზე.

ნოვოროსიისკი, 13 აგვისტო. საბჭომ მოისმინა 6 აგვისტოს მანიფესტი, დაადგინა მის უდიდებულესობის ფერხთა-ქვეშ განართხოს უქვემეგრდომელეს ერთგულებისა და მადლობის გრძნობანი, ამასთან იშუამდგომლოს, რომ ქალაქს ნება მიეცეს ხალხის წარმომადგენლობაში მონაწილეობა მიიღოს.

სევასტოპოლი, 13 აგვისტო. 16 აგვისტოს, ხალხის დაუსწრებლად დანიშნულია საქმე „გიორგი პობედონოსცის" მეზღვაურებისა, ბრალი ედება 79 კაცს. მოწამე 100 კაცი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აგვისტო.

პეტერბურგი, 15 აგვისტო. 14 აგვისტოს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობები არ მოსულა.

პორტსმუტი, 14 აგვისტო. კონფერენციის შაბათის სხდომაზე ხელი მოაწერეს იმ მუხლებს, რომლებიც წინა სხდომებზე ხელ-მოუწერელი დარჩა. ვიტტემ სხდომის 15 წამით შეწყვეტა სთხოვა. როდესაც ვიტტე უკან დაბრუნდა, კომურამ ორშაბათისთვის სთხოვა სხდომის გადადება. ვიტტე დასთანხმდა. რუსები ამბობენ: იაპონელების განცხადებები რუსების წინადადებაზე არ არის დამყარებულიო. ვიტტე ამბობს: მდგომარეობა სრულებით არ შეცვლილაო. „ჩვენ მზადა ვართ წასასვლელად, ოქმებზე ხელი მოწერილი გვაქვს და, თუ დავრჩით,—ეს იმიტომ, რომ იაპონელებმა სხდომის გადადება გვთხოვესო. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ კონტრიბუციას არ გადავიხდით, რა სახისაც უნდა იყოს ეს კონტრიბუციაო".

პარიზი, 15 აგვისტო. თითქმის ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს პორტსმუტიდან მოსული ცნობები. ფიქრობენ, რომ მოლაპარაკებას დღეს შესწყვეტავენ. „მატენ"-ის კორესპონდენტი იუწყება, როგორც რუსეთის, ისე იაპონიის წარმომადგენელნი დარწმუნებულნი არიან, რომ დღევანდელი სხდომა უკანასკნელი იქნებაო. მარტენსი დღეს საღამოთი მიდის.

ნიუ-იორკი. ამბობენ, ვიტტე საღამოს ხუთს საათზე გაემგზავრებაო. იაპონიის რწმუნებულებს ბარგი უკვე ჩაულაგებიათ.

ტოკიო, 15 აგვისტო. იაპონიის პრესსა კვლავ ენერგიულად ითხოვს, რომ სახალინის და კონტრიბუციის საკითხებში არაფერი დაეთმოს. მცხოვრებლები სახალინის გაყოფაზე დიდს უარს ამბობენ. რწმუნებულს რომ ეს მუხლი მიეღო, იაპონიაში უსათუოდ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოხდებოდა. იაპონიამ კრუპპის ქარხანას დიდძალი იარაღი შეუკვეთა.

პორტსმუტი, 14 აგვისტო. საქმის კარგად მცოდნე ერთ რუსს უთქვამს: ინგლისი ძალიანა ცდილობს მშვიდობიანობის ჩაჰოსაგდებადაო; ამასთანავე ამ დღეებში დადებულა ინგლის-იაპონიის ახალი საკავშირო ხელშეკრულება, რომელშიაც, სხვათა შორის, ინგლისი იაპონიას ზავის შეკვრას ურჩევს.

პორტსმუტი, 14 აგვისტო. არც რუსეთს და არც იაპონიას ულტიმატუმი არ წარუდგენიათ. რუზველტს ისეთი წინადადება მიუცია, რომელსაც უსათუოდ მიიღებენ.

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. „მატენ"-ის დეპეშა როკფელლერსთან ყველა გაზეთებმა დაბეჭდეს.

ტოკიო, 14 აგვისტო. ადმირალი კატაოკა იუწყება, რომ მის ესკადრას, რომელიც ამურის შესართავთანა სდგას, ცარევისა და ლაზარევის ნავთ-სადგურებისთვის ზარბაზანი დაუშენია და გაუნადგურებია.

პორტსმუტი, 14 აგვიტო. სხდომა ორშაბათისვის ტაკახირის თხოვნით გადაიდო. საფიქრებელია, რომ იაპონიას ახალ წინადადებების წარდგენა სურს.

ტოკიო, 14 აგვისტო. 15 აგვისტოს პორტსმუტის საქმეების განსახილველად მინისტრთა კაბინეტის საგანგებო კრება მოხდება.

პორტსმუტი, 13 აგვისტო. ვიტტეს ულაპარაკნია ერთ კორესპონდენტთან და სხვათა შორის უთქვამს: „მე იმიტომ ჩამოვედი პორტსმუტში, რომ, მეგონა, ისეთი პირობები დამხვდებოდა, რომელნიც ცოტათ თუ ბევრად მისაღები იქნებოდა: მე თავიდანვე არ თანავუგრძნობდი ომიანობას და აქაც იაპონიას ვუმტკიცებდი, რომ რუსეთს მშვიდობიანობა სურს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მისი ეროვნული სიამაყე შელახული არ იქნეს. ამისდა მიხედვით, მე დავუთმე, რაც შესაძლოდ მიმაჩნდა, ხოლო სახალინის დათმობაზე და სამხედრო ხარჯის გადახდაზე კი უარი განვაცხადე, რადგან ეს რუსეთის თავმოყვარეობასა და პატიოსნებას შეეხებოდა —რუსეთი დამარცხებული არ არის. და თუ ხელმწიფე წინააღმდეგია სისხლის ღვრისა და სურს მის მოპირდაპირესთან კეთილგანწყობილება ჩამოაგდოს —უსამართლობა იქნება, ამისათვის რუსეთი დამარცხებულად ჩავთვალოთო.

პორტსმუტი, 12 აგვისტო. ხვალინდელ სხდომაზე ოფიციალურად გამოცხადდება, რომ რწმუნებულნი ვერ შეთანხმდნენ და სათმა მუშაობამ უნაყოფოდ ჩაიარა. როგორცა სჩანს საქმის დაბოლოვებას ოიამას და ლინევიჩს მიანდობენ.

ლონდონი, 13 აგვისტო. მშვიდობიანობის საკითხის გადაწყვეტას უიმედოთ უყურებენ. რუსეთი, თავის ჯიუტობით, ამერიკის სიმპატიასა ჰკარგავს.

პორტსმუტი, 13 აგვისტო. კონფერენციის დღევანდელი სხდომა გადადებულ იქმნა.

ნიუ-ორკი, 13 აგვისტო. იაპონიის საფინანსო აგენტმა კანეკომ, რუზველტთან ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ, განაცხადა, რომ საქმის მდგომარეობა გაჭირვებულია, მაგრამ უიმედო კი არა.

ოისტერბეი, 13 აგვისტო. გამოაშკარავდა, რომ გუშინ საღამოს რუზველტი მშვიდობიანობის შესახებ ტოკიოსა და პეტერბურგში დეპეშით შეეკითხა.

პორტსმუტი, 15 აგვისტო. ვიტტეს ერთ კორესპონდენტისთვის უთქვამს: „შაბათის სხდომა შეიძლება უკანასკნელიც რომ ყოფილიყო; მოლაპარაკების გადადებაზე ჩვენ მხოლოდ ზრდილობის გულისთვის დავთანხმდითო". ტაკახირა ამბობს: „ჩვენ პრინციპიალურად სამხედრო ხარჯების გადახდას ვთხოულობთო". რუზველტს კერძო ლაპარაკში განუცხადებია, რომ მას იაპონელების მოთხოვნილებანი სამართლიან მოთხოვნილებად მიაჩნია.

პორტსმუტი, 15 აგვისტო. მოლაპარაკების გადადების შესახებ ვიტტეს უთქვამს, რომ ეს მოხდა ტაკახირას თხოვნით, რომელსაც მიკადოსაგან ჯერ უკანასკნელი პასუხი არ მიუღია.

პორტსმუტი, 13 აგვისტო. როგორცა სჩანს მოლაპარაკება არ შესწყდება, მაშინაც კი, თუნდ რუსეთის პასუხი არა-სასურველი გამოდგეს.—ოფიციალურად იუწყებიან, რომ ის ცნობა, ვითომც ლამზდორფს ეთქვას: რუსებმა ერთი გარემოება ჩააფუჩეჩესო—ტყუილია.

პორტსმუტი, 15 აგვისტო. (რეიტერი). ვიტტეს განცხადებით, ტაკახირას ჯერ ახალი ინსტრუქციები არ მოსვლია. ტაკახირას უთქვამს: რადგანაც კონფერენცია რუზველტის ინიციატორობით მოხდა, მის დახურვის დროს ფრთხილად უნდა მოვიქცეთო. ეს შენიშვნა დიპლომატისა, რომელიც თავის აზრებს ყოველთვის ფრთხილად გამოსთქვამდა ხოლმე, იმის მომასწავებელია, რომ მდგომარეობა ძალიან გაძნელდა. თუ იაპონელები ხვალ კონფერენციაზე ვერავითარ წინადადებას ვერ მისცემენ, მოლაპარაკება უსათუოდ შესწყდება. ხმა დადის, რუზველტი მიკადოს ხელ-მეორედ შეეკითხაო. კონფერენციის სხდომა 17—18 აგვისტოზე ადრე ვერ მოხდება.

„ნიუ-იორკ ვორლდი" იუწყება, რომ კონფერენციის გადადება რუზველტმა მოინდომა და ეს თავისი სურვილი მან კანეკოს პირით გადასცა კონფერენციისაო.

პეტერბურგი, 15 აგვისტო. იაპონიის პასუხი გაიგეს და ისე აღსნეს, თითქოს იაპონიას სახალინში მიცემულ ფულის სახით სურს კონტრიბუცია მიიღოსო. საფიქრებელია, რომ იაპონია ინგლისის მაგალითს მიჰბაძავს და სახალინის საკითხს განსახილველად სამედიატორო სასამართლოს გადასცემს ისე, როგორც გულის ინციდენტის დროს ინგლისი მოიქცა.

ტოკიო, 15 აგვისტო. მინისტრთა და წარჩინებულთა რჩევა ორ საათზე შესწყდა და სასახლეში იმპერატორის თავმჯდომარეობით განახლდა. ამ რჩევაზე უნდა გადაწყდეს, გაგრძელდება ომი, თუ ზავი შეიკვრება.

პარიზი, 13 აგვისტო. ,,მატენ''-მა დეპეშა გაუგზავნა მილიარდერ როკფელლერს, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერს, რომ საქმე ფულზე მიდგა და ეს გარემოება ხელმეორედ გამოიწვევს სისხლის ღვრასა და ხალხის ჟლეტასა. რუზველტი ცდილობს, ომს როგორმე ბოლო მოუღოს. იქნება მეორე ამერიკანელმაც მოისურვოს რუზველტთან ერთად სახელის მოხვეჭა და ჩამოაცალოს ის დაბრკოლება, რომელიც ზავის ჩამოგდებას უშლის?.. ,,მატენი'' მიმართავს მთელ ქვეყანაში ყველაზე მდიდარს მოქალაქეს და ეკითხება: ,,ხომ არ მიიღებთ თავზე იმ ფულის გადახდას, რასაც იაპონია თხოულობს; ომის მოსპობა თქვენს ხელშია, ამისთვის საჭიროა ფული, რომელიც თქვენის სიმდიდრის ნახევარიც არაა. ამ გვარად თქვენ დაიხსნიდით ქვეყანას სირცხვილისაგან, რომელიც შეილოხის პროცესსა გავს, რადგანაც აქ გამოსაყიდელია მილიონი ხალხის სისხლი''.

პორტსმუტი, 14 აგვისტო. ვიტტემ კორესპონდენტს განუცხადა, შესაძლებელია, კომურამ ახალი მოთხოვნილებანი წარმოადგინოსო.

ტოკიო, 23 აგვისტო. გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რწმუნებულნი თუ ვერ შეთანხმდნენ და საქმე ჩაიშალა, ამ ამბას ხალხი სიხარულით მიეგებებაო. ხოლო, თუ რუსეთი სახალინს არ დაუთმობს და კონტრიბუციას არ გადაიხდის, ხალხი ზავს არ მიიღებსო.

პორტსმუტი, 12 აგვისტო. დღეს, პირველს საათზე, პირსმა ვრცელი დეპეშა მიიღო ოისტერბეიდან. თუმცა მისი შინაარსი არავინ იცის, მაგრამ ეტყობა, რომ ზავის იმედი კიდევ აქვთ. ვიტტემ განაცხადა, თუმცა ძალიან ცოტა იმედი მაქვს, მაინც ზავი შესაძლებელიაო. ვიტტე ამბობს, მე უარ ვყავ კომურას წინადადება, რომელიც იმან უკანასკნელ სხდომაზე წამოაყენა ჩრდილოეთ სახალინის გამოსყიდვის შესახებ, რაშიაც 600 მილიონ დოლლარს თხოულობსო. გადავსწყვიტეთ, შევატყობინოთ ტოკიოსა და პეტერბურგში. პასუხი ჯერ არ მიგვიღიაო.

ბერლინი, 13 აგვისტო. სატომ „ლოკალ ანცეიგერ"-ის კორესპონდენტს განუცხადა, თუ უკანასკნელ სხდომაზე ვერ შევთანხმდით, ჩვენ აქედან წავალთო.

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. „ასსოსიედ-პრეს"-ის შეკითხვაზე გრაფმა ბიულოვმა დეპეშით უპასუხა: როგორც კი რუზველტი საქმეში ჩაერია, მას შემდეგ გერმანიის იმპერატორი ყოველის ღონისძიებით სცდილობდა ზავისთვის ხელი შეეწყო. როგორც ამერიკა, ისე გერმანია უნდა სცდილობდეს, ეს ომი მოისპოს. იმპერატორსა და გერმანიის მთელს ხალხსაც დიდი სურვილი აქვთ, რომ რუზველტის ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიაროსო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ე გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერ მორიგდნენ. პორტსმუტიდან ცუდი ამბები მოდის: იაპონელ რწმუნებულებს ბარგი ჩაულაგებიათ და წასვლას აპირობენ. რუსეთის რწმუნებულებიც აღარ იცდიან და შინ ბრუნდებიან. თუმცა მოლაპარაკების შეწყვეტა ჯერ ოფიციალურად არ არის გამოცხადებული, მაგრამ, უეჭველია, დღეს თუ ხვალ ვიტტე და კომურა ერთმანეთს გამოემშვიდობებიან და დავის გადაწყვეტას თავიანთ მთავარ სარდლებს მიანდობენ. უკანასკნელი სუსტი იმედი გააქარწყლა გუშინდელმა დეპეშამ იმის შესახებ, რომ რუსეთის რამდენსამე სამხედრო ოლქში მობილიზაცია გამოცხადდა. დღეს თუ ხვალ მარშალი ოიამა და მოხუცი გენერალი ლინევიჩი ხელმეორედ დაეტაკებიან ერთმანეთს და მანჯურიის მინდვრებს ისევ სისხლით მორწყავენ. (ნ. დ.).

თუ „მატენის" ცნობილ კორესპონდენტს გას-

ფელეტონი

პოლონელები გერმანიაში

—

ყოველ სახელმწიფოში, სადაც კი ერთი ეროვნება სჭარბობს მეორეს, სადაც მთავრობა გაბატონებულ ეროვნების ბურჟუაზიის დამცველია და თავის ძალ-ღონეს მხოლოდ ხიშტებსა და ძალმომრეობაზე ამყარებს, ეროვნული დაჩაგვრა, ერთი ერისგან მეორის დევნა და შევიწროება აუცილებელია. გაბატონებულ ერის მთავრობა, ვითომდა სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად, იმ ერებსაც კი არ ინდობს, რომელნიც იმის მონათესავე არიან ეტნიურად და ტომობრივადაც.

ეს დევნა, დაჩაგვრა და ეროვნულ თავისებურობის განადგურების სურვილი იწვევს შესაფერს წინააღმდეგობას დაბეჩავებულ ერის მხრით,—ბრძოლას თავის კულტურულ თავისებურობის დასაცავად. ასეთი ბრძოლა, ასეთი შეხლა-შეჯახება და ეროვნული წინააღმდეგობა ჰქმნის, ესრედ წოდებულ, ეროვნულ საკითხს, რომელიც ყოველ სახელმწიფოში არსებობს, სადაც კი რამდენიმე სხვადასხვა ერი ცხოვრობს, რომელთა შორის ერთი გაბატონებულ ერს წარმოადგენს, ხოლო სხვები დამოკიდებულნი და ეროვნულ თანასწორობის უფლებას მოკლებულნი არიან.

ეროვნული საკითხი არც გერმანიას ასცდენია. როცა მესამოცე წლების დამლევს გერმანიის სახელმწიფოები შეერთდნენ და პრუსიის მეთაურობით მძლავრი გერმანიის იმპერია დაარსეს, ჰოჰენცოლერების ბურჯს—ბისმარკს იმედი ჰქონდა, რომ პრუსია „მორალურად დაიპყრობდა" და შეისისხლხორცებდა დანარჩენ წვრილ სახელმწიფოებს და არა გერმანულ ტომის ერებს. მაგრამ ნამდვილად სულ სხვა გამოვიდა: გაბატონებულმა პრუსიამ ვერ მოსპო ვერც გერმანიის სხვადასხვა სახელმწიფოთა თვითარსებობა და ვერც უცხო ტომის ერთა ეროვნული მისწრაფება.

ამ მხრით ყველაზე წინ პოლონელები დგანან. გერმანიის უკიდურესი ნაციონალისტ-შოვინისტები ტყუილად კი არ ეძახიან პოლონელებს გერმანიის იმპერიის „პირველ მტრებს". პრუსიაში 3 მილიონზე მეტი პოლონელია; ახლა ამას ისიც დაურთეთ, რომ პოლონელები, გერმანიის საიმპერიო კანცლერის ბიულოვის სიტყვით, ბაჭიებივით მრავლდებიან და ადვილად წარმოიდგენთ, რომ პანგერმანისტებისა და იუნკრების (აზნაურების) აგრესიულ პოლიტიკას პოლონელებმა მაგარი და სქელი კედელი აღუმართეს. ამ კედელს—პოლონელების გამრავლებასა და სოლიდარულ მოქმედებას—დიდი ხანია ებრძვიან გერმანიის „პატრიოტები", მაგრამ ამ ბრძოლამ მათთვის ჯერჯერობით შესამჩნევი ნაყოფი ვერ მოიტანა.

პოლონელების განადგურების მანიით გატაცებული შოვინისტები ასე მსჯელობენ: პოლონელები სანდონი არ არიან. იმათ სურთ დიდებულ პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენა, ვინაიდან მუდამ იმის ცდაში არიან, თვისი ეროვნება დაიცვან და წინ-აღუდგენ გადაგვარებას. ისინი მხოლოდ დროებით არიან პრუსიელები. მაშასადამე, ყოველი გერმანელი, რომელსაც კი გერმანიის მთლიანობის დაცვა უნდა, მოვალეა ამ ტენდენციას წინ აღუდგეს და თავის მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ უნდა დაერიდოს!

გერმანულ სკოლებისა, ოფიციალურ ენისა და გერმანელ მოხელეთა დახმარებით და საშუალებით პოლონელების პროვინციებში—პოზნანსა და ზემო სილეზიაში—„გერმანიის კულტურა" უნდა გავრცელდეს და მთელი პოლონეთიც გაგერმანელდებაო. პოლონელების ყოველგვარი წინააღმდეგობა და ბრძოლა, თავის დაცვის სურვილი მთავრობამ უნდა სდევნოს და მოსპოს. სახელმწიფომ პოლონელების მამულები უნდა იყიდოს თავის ხარჯით და გერმანელებს დაურიგოს; მთავრობა უნდა ეცადოს, რაც შეიძლება, ბევრი გერმანელი ჩაუსახლოს პოლონელებს, რომელნიც ეკონომიურადაც გერმანელების ყმები გახდებიან. გარდა ამისა, მთავრობამ რუსეთიდან და გალიციიდან პოლონელებს ზემო სილეზიასა და პოზნანში გადმოსახლების ნება არ უნდა მისცეს და ამით პოლონელთა გაშენება-გამრავლება შეაჩეროსო.

ასე მსჯელობენ გერმანიის „პატრიოტი" შოვინისტები და ამ პოლიტიკას მისდევენ გერმანიის ყველა განაპირა ადგილებში, ხოლო პოლონეთში ისეთის ენერგიითა და მხნეობით ცდილობენ პოლონელების „დაპყრობას", რომ ამ მხრით მათი შრომა და მოღვაწეობა სამხრეთ-აფრიკის კოლონიების პრუსიელ კულტურტრეგერების მოქმედებასაც არ დაუვარდება. ვის არ გაუგონია მთავრობის დახმარებით შემდგარ ამხანაგობის „გაკატიზმის" საქმენი საგმირონი. ეს ამხანაგობა დააარსა სამმა მდიდარმა „პატრიოტმა"—განცემანმა, კანემანმა და ციდემანმა (ამ პატრიოტების გვარების პირველ ასოებიდან შესდგა ამხანაგობის სახელი—გაკაციზმი). ამ „პატრიოტებმა" მთავრობის ფულით პოზნანში დააარსეს საადგილმამულო ბანკი, რომელსაც მდიდარ პოლონელთა მამულები უნდა ეყიდნა, ამ მამულებზე გადმოსახლებული გერმანელები დაესახლებინათ და ამ რიგად მთელი ზემო—სილეზია და პოზნანი გერმანელთა ახალშენებით მოეფინათ. მაგრამ პოლონელები შეიშმუშნენ,—გაიგეს, რომ საფრთხე მოელოდათ და ხელადვე შეადგინეს ამხანაგობა: იმათაც დააარსეს საკუთარი საადგილმამულო ბანკები, რომლითაც ისეთი მედგარი კონკურენცია გაუწიეს გერმანელთა ბანკს, რომ მთელი ქვეყანა გააკვირვეს და აალაპარაკეს. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ გერმანელებმა არა თუ ვერ ჩაიგდეს ხელში პოლონელების მამულები, პირიქით, თავიანთ საკუთარ მამულების ნაწილიც ხელიდან წაუვიდათ. პოლონელებმა გერმანელების მამულებიც იყიდეს, აუარებელი გაკოტრებული პანი გამდიდრდა გერმანელების ფულით, თვითონ გერმანელებმაც ხელი გაუსვეს თავიანთ „პატრიოტულ" თანხას და, დასასრულ, პოლონელთა მიწად-მფლობელობამ თუ იმატა, თორემ დაკლებით არა დაჰკლებია-რა. ეს „პატრიოტული" გრძნობა გერმანიას ნახევარი მილიარდი მარკა დაუჯდა.

ამავე დროს არც გერმანიის საერო განათლების სამინისტროს ეძინა: დაიწყო სასტიკი და შეუბრალებელი დევნა პოლონურ ენისა, სკოლისა და სარწმუნოებისა. უსულო ბიუროკრატიამ მოიკრიბა მთელი თავისი ძალღონე, მოიგონა ათასნაირი ხრიკი, ხერხი და პოლიციურის ძალით მოინდომა პოლონურ სკოლისა და ენის მოსპობა და მის მაგიერ გერმანულ ენისა და კულტურის გავრცელება. მაგრამ ძალმომრეობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი გაარიგა და პოლონელები უფრო გააბრაზა, ააშფოთა და საშინლად შეაძულა გერმანელები.

გერმანელ «პატრიოტების» ამგვარმა პოლიტიკამ მათთვის მოულოდნელი ნაყოფი გამოიღო: პოლონელები შეერთდნენ, შეკავშირდნენ, შეადგინეს პარტია და პრუსიის ლანდტაგშიაც და გერმანიის რეიხსტაგშიაც გაგზავნეს თავისი წარმომადგენლები. ყოველ წელიწადს პოლონელი დეპუტატები რეიხსტაგსა და ლანდტაგს დაწვრილებით უამბობენ ქვეყანას პოლონეთის ადმინისტრაციის ოინებს, პოლიციის თვითნებობას, გუბერნატორის ძალმომრეობასა და სასამართლოს ორპირობას, ერთის სიტყვით ყველაფერს, რაც პოლონელთა დაჩაგვრასა და შევიწროებას ამტკიცებს. 1893 წელს, ბისმარკის სამსახურიდან გასვლის შემდეგ, პოლონელებმა რეიხსტაგში 19 დეპუტატი გაგზავნეს და სამხედრო კანონის ბედი გადაწყვიტეს. ამის შემდეგ ახალგაზდა იმპერატორმა ვილჰელმმა პოლონელებს ხელი გაუწოდა, პოლონელ არისტოკრატებს თავზე ხელი მოუსვა და შერიგების პოლიტიკას დაადგა: რამდენსამე პოლონელს მაღალი თანამდებობა ჩააბარეს, პოლონეთის სკოლებში სწავლა პოლონურ ენაზე შემოიღეს. აქ პოლონელებმა თავის პოლიტიკას უღალატეს, საკენკზე შესცდნენ, სამხედრო კანონ-პროექტს მხარი დაუჭირეს და მთავრობას მიემხრნენ. მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხი არ შესცდა: თავის დეპუტატების სამშვიდობო პოლიტიკა დაჰგმო და უნდობლობა გამოუცხადა. საჩქაროდ მოახდინეს საერო კრებები და შესაფერის რეზოლუციით ზიზღი გამოუცხადეს არისტოკრატ-დეპუტატებს, რომელთაც შინაური ტაქტიკა არჩიეს ბრძოლას. ხალხმა ახალი დეპუტატები აირჩია.

კაპრივისა და თავად ჰოჰენლოეს დროს ეროვნული დევნა პოლონელებისა შესუსტდა, მაგრამ ბიულოვმა ხელმეორედ განაახლა ბისმარკის რეჟიმი და სავსებით შეითვისა მისი შეხედულება პოლონელების შესახებ, რომელნიც, მისივე სიტყვით, ,,ისეთი ქვემძრომნი არიან, რომ მათი ნდობა ცოდვა იქნებაო''. ბიულოვს ორივე ხელით შველის პრუსიის მთავრობა და ლანდტაგის პატრიოტული ბურჟუაზია. თუ რამდენად გამწვავდა უკანასკნელ დროს პოლონეთისა და გერმანიის დამოკიდებულება, ეს სჩანს შინაგან საქმეთა მინისტრის ჰამერშტეინის სიტყვებიდან პოლონელების შესახებ: ,,ჩვენი საქმე ბრძანებაა, თქვენი—მორჩილებაო''.

პოლონელები კარგა ხანს ,,ცენტრის'' პარტიასთან იყვნენ შეკავშირებულნი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ პარტიამ რეიხსტაგში ძლიერი პოზიცია დაიჭირა, მთავრობას მიემხრო და გერმანელ ,,პატრიოტებს'' ხელი გაუწოდა, პოლონელები მას ჩამოშორდნენ. ეს ჩამოშორება 1903 წელს დაიწყო ზემო სილეზიაში ახალ არჩევნების დროს. ამ პროვინციაში მცხოვრები პოლონელები იმდენად მოემზადნენ და ისე კარგად შეიგნეს თავისი მდგომარეობა, რომ გადასწყვიტეს კათოლიკეთა „ცენტრის" დაუხმარებლად აერჩიათ საკუთარი დეპუტატები.

ზემო-სილეზიაში, დიდი ხანია, მხნედ მუშაობს სოციალ-დემოკრატების პარტია; მაგრამ ამ პარტიამ პოლონელთა თანაგრძნობა მაინცადამაინც ვერ მოიპოვა, რადგან მან ვერ გადასწყვიტა „პოლონეთის საკითხი" და ჯერაც არ აქვს მიღებული ფორმულა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა, რომელმაც დიდი ხანია, ფედერალიზმის პრინციპი აღიარა და ყველა ერისთვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია მოითხოვა. ამით შესანიშნავად ისარგებლა პოლონეთის ეროვნულ-რადიკალურმა პარტიამ და, ახალგაზდა ნიჭიერ ჟურნალისტის კორფანტის მეთაურობით, მთელი სილეზია ხელში ჩაიგდო.

30 წლის კორფანტის გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის შესამჩნევი ადგილი უჭირავს. იმისი მამა და ძმები სამთო მადნების მუშები არიან და თვითონაც მეცნიერულ მიზნით მაღაროებში მთელს წელიწადს მუშაობდა. ჯერ გიმნაზია არა ჰქონდა გათავებული, რომ მთავრობამ სამართალში მისცა ახალგაზდა კორფანტი იმის გამო, რომ იგი მოსწავლეთა საიდუმლო ორგანიზაციაში ირიცხებოდა. თუმცა კორფანტი გიმნაზიიდან დაითხოვეს, მაგრამ იმან სწავლას მაინც თავი არ დაანება და, ბრესლავლის ცნობილ პროფესორის ვერნერ ზომბარტის ხელმძღვანელობით, კარგა ხანს სწავლობდა მეცნიერებას. ის იმ დროს ვერც კი იფიქრებდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გახდებოდა. ეხლა კი ზემო-სილეზიის მუშებს იგი თავის მხსნელად მიაჩნიათ: იმის სურათს ყველა მუშის ოთახში ნახავთ და დედებიც თავიანთ შვილებს იმაზე უთითებენ და აგონებენ, რომ კორფანტი პოლონეთის პირველი მცველია. 1903 წელს ზემო-სილეზიელებმა კორფანტი ერთ და იმავე დროს გერმანიის რეიხსტაგშიაც აირჩიეს დეპუტატად და პრუსიის ლანდტაგშიაც. თუმცა ეს ამბავი არ ეჭაშნიკა პოლონეთის არისტოკრატ დეპუტატებს, მაგრამ რაკი ნახეს, რომ კორფანტი პოლიტიკური განძია, ორივე ხელით ჩაეჭიდნენ და ახლა პოლიტიკურ საქმეებზე ყოველთვის იმას ეკითხებიან. კორფანტის საკუთარი გაზეთიც აქვს და თვითონაც მშვენიერი აგიტატორია. იმის მომხრეთა რიცხვი თან-და-თან მატულობს და ისეთ წინააღმდეგობას უწევს „ცენტრის" პარტიას, რომ 1903 წელს რეიხსტაგის პრეზიდენტმა გრაფმა ბალლესტრემმა ძლივს-ძლივობით იშოვა საკმარი კენჭი.

რეიხსტაგში პოლონელთა პარტიას მხარს უჭერენ და პოლონეთის თვითმმართველობას ემხრობიან დანიელთა და ელზასელთა დეპუტატები, რადიკალები და ზოგჯერ სოციალ-დემოკრატებიც, რომელნიც პრინციპიალურად წინააღმდეგნი არიან ეროვნულ დევნისა. მაგრამ ეს ოპოზიცია ჯერ იმდენად ძლიერი არ არის, რომ გერმანიის „პატრიოტებისა" და იუნკრების პოლიტიკა დასჯაბნოს და პოლონელებს საგრძნობელი შეღავათი მისცეს.

ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონ ლერუს დავუჯერეთ, პეტერბურგის ბიუროკრატიას ომის გაგრძელებისა ეშინიან. კორესპონდენტი იწერება: „ომის გაგრძელებისა ყველაზე მეტად «პატრიოტ» რეაქციონერებს ეშინიათ, რადგან გამარჯვების იმედი ამათაც დაეკარგათ. ამათ კარგად იციან, რომ რუსეთის ჯარის დამარცხების სიას ერთი თვის შემდეგ ახალი დამარცხება მიემატება; მაგრამ უბედურება ის არის, რომ სწორედ ამ დროს შეიკრიბებიან საერო დეპუტატები, რომელნიც ენერგიულად მოითხოვენ ომის შეწყვეტას. ზამთარიც მოდის და საშინელი სიმშილიც უკან მოსდევს; არც ხალხი აპირობს დამშვიდებას. ერთი სიტყვით, შემოდგომაზე რუსეთს ათასი ვაი-ვაგლახი დაატყდება თავზე, მაგრამ „პატრიოტები“ მაინც არ ტყდებიან და ძალიან უხარიანთ, რომ ზავი არ ჩამოვარდება (რ.).

ამერიკაში ხმა გავრცელდა, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლამზდორფმა სამსახურიდან გასვლა ითხოვა, მაგრამ ნება არ მისცესო. მიზეზი ის იყო, რომ ზავზე მოლაპარაკებამ მიზანს ვერ მიაღწია და, დღეს თუ ხვალ, ომი განახლდებაო (რ.).

კომურას ერთ მეგობარს უთქვამს პორტსმუტში: ვიტტეს გულში სახალინის დათმობა რომ არ უნდოდეს, იაპონიის პირობებს სულაც არ განიხილავდაო, მაგრამ იმას თავის უარით ვითომ იაპონელების შეშინება უნდა და იმედი აქვს, რომ იაპონელები ბევრ რამეს დაუთმობენ (რ. ვ.).

პროფესორს მარტენს, რომელიც რწმუნებულად ითვლება რუსეთის მხრით, ერთ გაზეთის კორესპონდენტისთვის უთქვამს: სახალინის საქმე სამედიატორო სამართალს რომ გადავცეთ, უეჭველია, სახალინს იაპონელებს არგუნებენ, რადგან ეს კუნძული იაპონიამ დაიპყრო და რუსეთი, ბევრსაც რომ ეცადოს, უკან ველარ დაიბრუნებს. ვიტტეც გამომტყდარა და უთქვამს, რომ რუსეთმა სახალინი უნდა დაუთმოს იაპონიას, ხოლო კონტრიბუციას ვერ გადაიხდისო (სლ.).

რუსეთის გემების დაჭერა. ტოკიოდან „ბერლ. ტაგებლატს“ დეპეშით ატყობინებენ: კამჩატკისკენ გაგზავნილ ესკადრის უფროსი იუწყება, რომ იმან 31 ივლისს პეტროპავლოვსკის ნავთსადგურში დაიჭირა რუსეთის დიდი სავაჭრო გემები „ავსტრალია“ და „კამჩატკა“ (რ. ს.).

პორტ-არტურში ჩაძირული გემები. ტოკიოდან იუწყებიან: პორტ-არტურში ჩაძირული გემები რუსებს სულაც არ აუფეთქებიათ და არც თუ იაპონელთა ყუმბარებს დაუზიანებიათ ძალიან. რუსებს მანქანები და გემების ნაზი ნაწილები დაუფარავთ წყლისგან და ისე ჩაუძირავთ. რუსებს, როგორცა სჩანს, იმის იმედი ჰქონდათ, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა მოვა, პორტ-არტურს დავიბრუნებთო და გემებსაც ამოვიღებთო (ს. ო.).

იაპონელ გენერლების თხოვნა. ამას წინად მანჯურიაში მყოფ იაპონიის ყველა გენერლები შეიკრიბნენ, საქმე აწონ-დაწონეს, მოილაპარაკეს და დაადგინეს: ვთხოვოთ იმპერატორს, რომ ან უფრო მძიმე პირობები წარუდგინოს რუსეთს, ან კიდევ ნება მოგვცეს და ლინევიჩის ჯარს ბაიკალზე გადავრეკავთო. მარშალმა ოიამამ გენერლების თხოვნა დეპეშით აცნობა იმპერატორს (სლ.).

ახალი ამბავი

✦ როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, **მოჰკლეს ძალისელი მემამულე ივანე დიმიტრის ძე მუხრანსკი,** როდესაც იგი დუშეთიდან თავის ნათესავთავით მუხრანსკისთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. როცა მგზავრები მჭადისჯვარსა და წილკან შუა ტყეში შესულან, საიდანღაც სამჯერ თოფი გავარდნილა. ერთი ტყვია მოხვედრია მუცელში, მეორე—უბეში, სადაც რევოლვერი სდებია. რევოლვერიც გავარდნილა და მკლავში დაჭრილა. დაჭრილი გზაშივე გარდაიცვალა.

✦ გუშინ-წინ რკინის გზის ვაგონში მცხეთის ახლოს თავ. გ. კ. **ერისთავმა მოჰკლა გზაზე მალძინევიჩი** რომელთანაც რაღაც საგანზე ცხარე ლაპარაკი მოუვიდა.

✦ როგორც ჭიათურიდან იწერებიან, ამ ბოლოს დროს **შავი ქვის წარმოება შესამჩნევად გაძლიერებულა.**

✦ სოფ. მჭადისჯვარში მომხდარ, 3 აგვისტოს, ამბების გამო, რომლის დროსაც მოკლულ და დაჭრილ იქნა ადგილობრივი გლეხები, საქმის გამოძიება მიენდო დუშეთის სამაზრო მოსამართლეს აბას-ალიბეკ ალი-ბაბეკოვს.

✦ 10 აგვისტოს, ქ. დუშეთში, **დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა კრება მოხდა,** რომელსაც 30 კაცი დაესწრო. კრებას უნდა დაედგინა, რაზე მოეხმარონ ის 4855 მანათი, რომელიც თავად-აზნაურთა ბანკის სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ისესხეს. კრება საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ დაადგა, რის გამოც მაზრის მარშალს დაევალა, აარჩიოს კომისია და ეს საკითხი განსახილველად ამ კომისიას გადასცეს. კომისიამ თავისი აზრი დეკემბრისათვის უნდა წარმოუდგინოს. გლეხთა მოძრაობის შესახებ დადგენილ იქმნა: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს გლეხებს ნადელების გამოსყიდვისა და თავისუფალ სახელმწიფო მიწების დარიგების საქმეში. ხოლო ხიზნების შესახებ კრებამ აირჩია კომისია გენერალი იკ. გ. ამილახვარისა, გრ. ოტ. ზანდუკელისა, ნ. ხიზმაშვილისა და გენერალ ქილაშვილისაგან შემდგარი. ამ კომისიამ უნდა სთხოვოს კავკასიის ნამესტნიკს, რომ გლეხებს დაუყოვნებლივ გადასახლებულ იქმნენ თავად-აზნაურთა მიწებიდან.

✦ შაბათს, 13 აგვისტოს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის წინადადების თანხმად, ტფილისში შეიყარა რკინის გზებზე 100 მეტი არჩეული კაცი, რომელთაც პეტერბურგში საპენსიო კასსის, წესდების განსახილველ კრებაზე მონაწილეობის მიღებად **დელეგატი უნდა აერჩიათ.** თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ინჟინერი ნ. ს. ზურაბოვი. კრება შესდგა მთავარ სახელოსნოების. სასადილო ოთახში და დაწყების დროს, როდესაც კრება შეუდგა შემუშავებულ საკითხების განხილვას, კრებაზე შემოვიდა ჟანდარმის უნტერ-აფიცერი. კრებამ დაავალა თავმჯდომარეს, რკინის გზების უფროსიდან შეიტყოს, ეს სხდომები კონტროლის ქვეშ უნდა მოხდეს თუ არა, და სხდომა გადასდო.

✦ 12 აგვისტოს, ქ. ა. ვერმიშევის თავმჯდომარეობით, **სომხებს კრება ჰქონდათ.** კრებამ აირჩია დეპუტაცია ქ. ტფილისიდან, რომელმაც გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს სომეხ მცხოვრებთა სახელით მადლობა უნდა გადაუხადოს საეკლესიო მამულების დაბრუნებისთვის. დეპუტაცია კისლოვოდსკს წავა, სადაც ამჟამად გრაფი იმყოფება.

✦ მოსკოველ ძმ. ჯამგაროვების საკომერციო ფირმამ აცნობა ქალაქის მოურავს, 330000 **მან. სესხი მოგეცათ** და რწმუნებულათაც ტფილისის საკომერციო ბანკი დაინიშნაო.

✦ **ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ქალაქის გამგეობას, დაუთმოს საბჭოს დარბაზში საერობო დაწესებულებათა შესახებ საგუბერნიო საბჭოში წარმომადგენელთა არჩევნებისთვის.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკმა გარდასწყვიტა გასცეს გრძელი და მოკლე ვადიანი სესხი ტფილისის გუბერნიის სოფლის მამულებზე. ამ დადგენილებას არ დაეთანხმა ამ ბანკის ფინანსთა სამინისტროს რწმუნებული, ტფ. სახაზინო პალატის მმართველი ა. მიხაილოვი. **ამის გამო ბანკი ამ მამულებზე სესხს აღარ გასცემს.**

✦ ტფილისის სახაზინო პალატა ამ მოკლე ხანში შეუდგება **საგანგებო სიის შედგენას** იმ პირობებისას, რომელნიც უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ბინაზე დაწესებული სახელმწიფო გარდასახადს იხდიდნენ, (1100 მან. წელიწადში) და რომელთაც უფლება აქვთ ქალაქის ამომრჩეველთა არჩევისა.

✦ დღეს, 17 აგვისტოს, **მზე ნახევრად დაბნელდება.** მზის დაბნელება ტფილისში დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე და გათავდება 5 საათსა და 50 წუთზე. ბაქოში დაიწყება 4 საათზე და 25 წუთზე და გათავდება 6 საათსა და 15 წ.

✦ დღეს, 17 აგვისტოს, საღამოს ხუთ საათზე, ავჭალის აუდიტორიაში სცენის მოყვარეთა თანადასწრებით, **დანიშნულია ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის კრება.** ვისაც სურს ამ სეზონში წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება, შეუძლიათ ამ კრებაზე განაცხადონ თავისი სურვილი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა სამხედრო სამინისტროს წევრი **გენერალ-მაიორი მ. ალ. ვოჟეცი.**

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი** „ეროვნული თვითმართველობა“ ვ. ი. ბეჟანიშვილის გამოცემა. წიგნში მოთავსებულია რამდენიმე წერილი ავტონომიისა და ეროვნების შესახებ, რომლებიც იბეჭდებოდა მდგომარე წელს „ივერიისა“ და «ცნობის ფურცლის» ნომრებში.

✦ 15 აგვისტოს ნავთლუღში, ობოზნი ბატალიონის აგურხანაში, მანქანის უწყლობით ზარფუშა გახეთქილა და უმსხვერპლია იქვე მძინარე კაჩეგარის თანაშემწე ალამდოთ გიულ მამედ-ოღლი. კაჩეგარი კი ხან-ბაბა-სუმბათ-ოღლი მძიმედ დაშავებულა.

✦ მე-7-ე საპოლიციო უბანი ჩხუბის დროს მარტინ მირველოვსა და ა. ს. როსანოვს ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს მირველოვს როსანოვი მძიმედ დაუჭრია.

✦ ულუხანლუს გზაზე ადგილობრივ პოლკის მესამე როტის ქვეითა ჯარის კაცს პალეევს თავს დასცემია ორი თათარი. წაურთმევიათ ვინტოვკა, 30 პატრონა და მიმალულან.

✦ 15 აგვისტოს, ტფილისის სადგურზე მატარებელი № 459, შეცდომით სხვა ლიანდაგზე გაატარეს. მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. დაიმსხვრა 10 ვაგონი, ორთქლმავალი მიწაში ჩიფლა. მძიმედ დაშავდნენ მემანქანე რინკევიჩი და კონდუქტორი გალკინი.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 205)

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ს 170 ნომერში გადაბეჭდილი იყო „ივერიიდან“ ცნობა იმის შესახებ, რომ სოფ. მჭადისჯვარში მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 30 კაცი და დაჭრილია 40-ზე მეტიო. ეს რიცხვი გაზვიადებულია. მაზრის ადმინისტრაციის ცნობებით, პირველ დღეს აღმოაჩინეს 7 მოკლული და 12 დაჭრილი, მაგრამ, რადგანაც იმ დროს ყრილობაზე ბევრი სხვა სოფლიდანაც იყო მოსული, მათ შორის გორის მაზრიდანაც კი, და დაჭრილები სცდილობდნენ დამალულიყვნენ, შესაძლებელია, დაშავებულთა რიცხვი უფრო მეტი იყოს, მაგრამ ასე ბევრი კი არ იქნება. „ივერიის“ მიერ გამოქვეყნებული და „ნოვოე ობოზრენიე“-სგან გადაბეჭდილი ცნობა ალბად დამყარებულია შეუმოწმებელ ცნობებზე, ამიტომ ამ ორივე გაზეთს წინადადება ეძლევა, ეს განმარტება გადაბეჭდოს.

სოფელ მჭადის-ჯვარში მომხდარ სამწუხარო შემთხვევის გარემოება შემდეგში მდგომარეობს: რადგანაც ამ სოფლის გლეხები ღალის მიცემაზე უარს ეუბნებოდნენ თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, 31 ივლისს მაზრის უფროსმა გაგზავნა ამ სოფელში ბოქაული, რომელსაც დაევალა, სხვათა შორის, სამი გლეხის დატუსაღება, რომელებიც სოფელს აქეზებდნენ, მემამულეს არაფერი მისცეთო. ეს გლეხები რომ დაიჭირეს, სოფელ მჭადიჯვარში გლეხებმა შეკრიბეს 300 კაცი და დატუსაღებულნი ძალით გაანთავისუფლეს. მაშინ სოფელში გაიგზავნა ქვეითა ჯარის ნახევარი როტა და რამდენიმე კაზაკი, რომელთა დახმარებითაც გლეხებს გადაახდევინეს მემამულის კუთვნილი ღალა, მაგრამ ხალხის მიერ განთავისუფლებულმა სამმა გლეხმა დამალვა მოასწრო. ხალხმა თან წაიყვანა აგრეთვე მოსამსახურენი, ორის გარდა. 3 აგვისტოს მემამულის სახლთან დილიდანვე შეიყარა თავი ხალხმა. სოფ. მჭადისჯვრის გლეხებს გარდა, იქ იყვნენ არამც თუ დუშეთის მაზრის სოფლებიდან, გორის მაზრიდანაც კი.

შუადღისას მემამულის ალაყაფის კარებთან თავი მოიყარა ათას კაცზე მეტმა, რომლებიც თხოულობდნენ წინა დღით წაღებულ ღალის დაბრუნებას, ამასთან ჰყვიროდნენ და კეტებსა და ორთითებს ხელში ატრიალებდნენ. პატარა ხანს უკან, იმ ადგილას მივიდა მაზრის უფროსი. გლეხებმა მაზრის უფროსს კატეგორიულად და უკმეხად განუცხადეს, ჩვენ შევიყარენით, რომ წავართვათ უკანვე მემამულეს ღალები, რადგან ამის შემდეგ მემამულეებს აღარაფეს მივცემთო. მაზრის უფროსი ბევრს ეცადა, ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და, როდესაც პოდპოლკოვნიკმა ფონ-ბაუმგარტენმა გააფრთხილა ხალხი: იძულებული ვიქნები იარაღი ვიხმაროო, ხალხი მას გარშემო შემოერტყა და მისი და ბოქაულის ცემა მოინდომა. მაშინ მაზრის უფროსმა წინადადება მისცა კაზაკების აფიცრეს, ხალხი გაეფანტა. აფიცერი უკაზაკოდ მიუახლოვდა ცხენით ხალხს და სამჯერ სთხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ პასუხად ქვები დაუშინეს. აფიცერი გამოტრიალდა, გაამწკრივა კაზაკები, უბრძანა, ხლმები ეშიშვლათ და ამ გვარად გაემართა ხალხისკენ, ამ დროს ერთი გლეხი მიეჭრა აფიცერს ორთითით და უნდოდა დაერტყა, მაგრამ ცხენი ყალხზე შესდგა და აფიცერს ორთითი აცდა, მაგრამ თავში ქვა მოხვდა და ცხენიდან გადმოვარდა. აფიცერი წამოვარდა და ბრძანება გასცა, ხალხისათვის ესროლათ. 22 კაზაკის გარდა იქ იყო ქვეითა ჯარის ნახევარი როტა, პრაპორჩიკის უფროსობით. ერთი ვზვოდი და აფიცერი მასთან გაგზავნილი იყო მემამულის სახლ-კარის დასაცავად, დანარჩენები კი კაზაკებთან ერთად იყვნენ. ქვეითა ჯარს სროლა არ დაუწყვია. სროლის შემდეგ ხალხი გაიქცა. ამის შემდეგ ცნობები მოვიდა, რომ 200 კაცზე მეტი მთებიდან სოფელში მიდის გლეხების დასახმარებლად, აფიცერი კაზაკებით მათ წინ შეეგება და გაფანტა ისინი. ხალხმა ზარების რეკა ასტეხა და ამით უნდოდა დასახმარებლად ქ. დუშეთიდან ხალხი მოეკრიბა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. დაიჭირეს ერთი, რომელიც ხალხს აღელვებდა.

შეტაკების დროს, როგორც ჯერ-ჯერობითაა გამოკვლეული, გლეხებ-შორის დაშავდა 19 კაცი. მოკლულია 7 და დაჭრილი 12. ამასთან მოკლულთა რიცხვში სოფელ მჭადის ჯვარის მცხოვრები მხოლოდ სამია. მეორეს მხრივ აფიცრის გარდა დაშავებულია ორი კაზაკი და დაჭრილია კაზაკების რამდენიმე ცხენი. დაშავებულთ პირველი დახმარება აღმოუჩინა კაზაკთა რაზმის ფერშალმა, ხოლო ღამე მივიდა მაზრის ექიმი, რომელმაც ყველას ხელ-ახლა შეუხვია ჭრილობები.

5 აგვისტოს, იმ ადგილას მივიდა გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახორი. რადგანაც გლეხები მემამულის სახლკარს განადგურებას უქადიან, იქ ჯარის ერთი რაზმია ჩაყენებული.

8 აგვისტოს, დილით, სოფ. მჭადისჯვარიდან სამი ვერსის მანძილზე მიმავალ ერთს სტრაჟნიკსა და ორს კაზაკს საფარიდან თოფები დაუშინეს. ერთი კაზაკი იქვე მოჰკლეს, მეორეს ცხენი დაუჭირეს.

10 აგვისტოს მჭადისჯვრის გზაზე ორი ტყვიით დასჭრეს თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

რადგანაც გორის მაზრის თავად-აზნაურები აცხადებენ, რომ მათ მოკვლას უქადიან და ძალას ატანენ, გაზეთებში გამოაცხადონ, რომ თავის ნებით გლეხებს უთმობენ სანადელო მიწებს და თანახმანი არიან საკუთარ მიწებში მეოთხედის მაგივრად მეათედი მიიღონ, გორისა და დუშეთის მაზრებში ნამესტნიკის მიერ გაგზავნილი გენერალ-ადიუტანტი თავ. ამილახორი აცხადებს, რომ ამ გვარ ცნობებს ყველა სიფრთხილით მოეპყრას.

ეროვნულ დამოუკიდებლობის დამყარება ნორვეგიაში

31 ივლისი არას დროს არ დაავიწყდებათ ნორვეგიელებს. ამ დღეს თვითონ ხალხმა ამოიღო ხმა, თვითონ გამოსთქვა თავისი აზრი სრულ დამოუკიდებლობის შესახებ და პირდაპირ გამოაცხადა, რომ მას სრული ეროვნული დამოუკიდებლობა სურს. ამ დღეს ნორვეგიის ხალხმა ცხადად და ნათლად დაუმტკიცა შვეციასა და მთელ ქვეყანასაც, რომ სტორტინგის გადაწყვეტილება რამდენიმე „რევოლუციონერის“ საქმე კი არ არის, არამედ მთელ ნორვეგიის სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილებაა.

„გათენდა თუ არა 31 ივლისი,—იწერება „სინ ოტეჩესტვას“ კორესპონდენტი,—მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთო: სახლებზე ბაირაღები ფრიალობდა, ქუჩები ხალხით იყო სავსე, ყველას ეროვნულ ფერის ყელსახვევები ჰქონდათ გაკეთებული და პირდაპირ სჩანდა, რომ ხალხი რაღაც დღესასწაულისთვის იყო მომზადებული. წირვის გათავების შემდეგ, ხალხი უნივერსიტეტის შენობისკენ დაიძრა. ეკლესიებში მღვდლებმა ქადაგება წარმოსთქვეს და ხალხს აფრთხილებდნენ, თქვენ სინდისს არ უღალატოთ და ისე მოიქეცით, როგორც სინდისი გეუბნებათო; თქვენს გრძნობას ნუ დამალავთო.

უნივერსიტეტის ოთახები, დარბაზები, და უშველებელი ეზო ხალხით გაივსო. მალე მოისმა ნორვეგიის ეროვნული ჰიმნი, განთქმულ პოეტის ბიორნსონის ლექსი—„დიაღ, ჩვენ გვიყვარს ეს ქვეყანა“! ყველამ ქუდი მოიხადა და ჩუმად მოისმინა სიმღერა. „ურას“ გუგუნმა ჰაერი შეანძრია. ჰიმნი კიდევ გაიმეორეს რამდენჯერმე და ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა. უმეტესობა ციხისკენ წავიდა, იქაც მუსიკა უკრავდა და მგალობელთა გუნდი მღეროდა. დილიდან საღამომდის ყველა რესტორანები, თეატრები და სასეირნო ბაღები ხალხით იყო სავსე. საარჩევნო ბიუროები დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდის იყო ღია. 6 საათზე პირველად გამოაცხადეს ხალხის აზრი: 25,678 მოქალაქე მომხრე იყო ეროვნულ დამოუკიდებლობისა, 8—წინააღმდეგი. ხალხი აღტაცებით, აღფრთოვანებით და „ურას“ გრიალით მიეგება პირველ გამარჯვებას, რედაქციების წინ აუარებელი ხალხი იდგა და სხვა ქალაქების და დაბების კენჭის ყრის შედეგს ელოდა. რედაქციაში ყოველ წუთს ახალ-ახალი დეპეშები მოდიოდა პროვინციიდან. რედაქცია კენჭის ყრის შედეგს დიდ ქაღალდზე სწერდა და ფანჯარას აკრავდა. არასდროს არ დამავიწყდება—განაგრძობს კორესპონდენტი—რედაქტორების სიხარული, როცა დეპეშა მოვიდა ქალაქ ფრედრიკსტადიდან, რომელიც თითქმის მთლად შვედელებით არის დასახლებული. ამ ქალაქში 2207 მომხრე იყო დამოკიდებულობისა, წინააღმდეგი კი მხოლოდ 1. როცა ეს ციფრები ფანჯარაზე გააკრეს, ხალხმა სიხარულისგან იგრიალა და რამდენიმე წუთის განმავლობაში „ურას“ იძახდა. მერე ფანჯარაში გამოჩნდა შემდეგი განცხადება: რინკეგერში კენჭის უფლება აქვს 1969 კაცს. თანხმობა გამოაცხადა 1920, წინააღმდეგობა—არავინ!“ რამდენიმე ათასი კაცი ტაშს უკრავს და გრიალებს: ურა-ა-ა! ურა ა-ა! ურა-ა-ა! მეორე განცხადება: ქალაქი ბანგი. 1859 კენჭი. 1716 მომხრეა, წინააღმდეგი-არავინ!“, შემდეგ ისევ შვედელებით დასახლებულ ქალაქიდან მოსული დეპეშა გამოაკრეს: „ოპდალი, 629 მომხრეა, წინააღმდეგი—1“ ხალხის სახარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ერთმა რედაქტორმა მითხრა: თუმცა ზოგიერთი შვედელებით დასახლებული ქალაქები პროკლამაციებით გაავსეს და ომს გვემუქრებოდნენ, მაგრამ ნორვეგიაში მცხოვრებნი შვედები მაინც არ შეშინდნენ, მოგვემხრნენ და ცხადად დაამტკიცეს, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში ისეთივე მოქალაქენი არიან, როგორც ჩვენ“ ღამის ორ საათზედაც კი ქუჩები ხალხით იყო სავსე. ყველა ხარობდა, იცინოდა; ყველანი ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ და თავისუფლებას დღესასწაულობდნენ“.

კენჭის ყრას საკვირველი, არაჩვეულებრივი და მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. საზოგადოდ ცნობილია, რომ მთელ ქვეყანაზე კენჭის მქონეთა 75% ზე მეტი არ იღებს მონაწილეობას. ნორვეგიაში 400,000 კაცს აქვს კენჭის უფლება. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 9%-ზე მეტმა—366,209 მომხრე იყო დამოუკიდებლობისა, ხოლო 183—წინააღმდეგი, ე. ი 0,05%-ზე ნაკლები. ნორვეგიაში მცხოვრებ შვედელებს 20,000 კენჭი აქვთ. 183 კენჭი სულ შვედელებს რომ ეკუთვნოდეს, მაინც გამოვა, რომ შვედელებს 99%-მა ნორვეგიისთვის სრული თავისუფლება მოითხოვა.

1 აგვისტოს სტორტინგის თავმჯდომარეს ეწვია ნორვეგიელ მანდილოსანთა დეპუტაცია, რომელთაც გამარჯვება მიულოცეს და წარუდგინეს პეტიცია, რომელზედაც რამდენიმე ათიათას ქალს ეწერა ხელი. ქალებიც პოლიტიკურ უფლებას თხოულობდნენ. სტორტინგის თავმჯდომარემ საპასუხო სიტყვაში, სხვათა შორის, უთხრა: „მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მალე დადგება ის დრო, როცა თქვენ, ქალებსაც, სწორედ ისეთივე პოლიტიკური უფლებები გექნებათ, როგორიც თქვენ მამებსა და ძმებს აქვთ, და თქვენც მონაწილეობას მიიღებთ ჩვენ საყვარელ ნორვეგიის პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

ნორვეგიის ქალებმა ცხადად დაამტკიცეს, რომ ისინი სულაც არ ჩამოუვარდებიან მამა-კაცებს. ნორვეგიის ქალთა ასოციაციამაც მოახდინა არაოფიციალური პლებისციტი და აღმოჩნდა, რომ 190,000 ქალი დამოუკიდებლობის მომხრეა, წინააღმდეგი კი—არც ერთი!

ეხლა ჯერი მიდგა უმთავრესზე: ისევ მონარქია დარჩება ნორვეგიაში თუ რესპუბლიკას დაარსებენ. ნორვეგიის ხალხის დიდი უმეტესობა რესპუბლიკის მომხრეა, მაგრამ ზოგიერთი მონარქიული სახელმწიფოები ცერად უყურებენ რესპუბლიკას, რომელიც მონარქიზმის პრინციპის დამარცხებად მიაჩნიათ, და ნორვეგიას ძალას ატანენ. სტორტინგიც დაფიქრდა, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ რუსეთმა და გერმანიამ თანხმობა არ განაცხადონ და ნორვეგიის რესპუბლიკასთან დამოკიდებულება შესწყვიტონ.

ნ.

კიდევ სამოსწავლო გეგმის გამო.

გუშინწინ ნამესტნიკის კანცელარიიდან ადგილობრივ პედაგოგებს მოუვიდათ წიგნაკი რუსულ ენაზე: Совѣщаніе учителей начальныхъ училищъ (თათბირი დასაწყისი სკოლების მასწავლებლებისა). წიგნაკი გაეგზავნათ იმ განზრახვით, რასაკვირველია, რომ პედაგოგებმა გაიცნონ კომისიის დადგენილება, კარგად მოისაზრონ და, როცა ამ ცოტა ხანში მიწვეულნი იქმნებიან სათათბიროდ, თავისი აზრი წარმოსთქვან სამოსწავლო გეგმის შესახებ.

ეს წიგნაკი ახალს სინათლეს ჰფენს ბ-ნ ჰიქინაძის გეგმის სათავესა. ყველას ეგონა, რომ ამ გეგმის საფუძველნი მომდინარეობდნენ სამოსწავლო ოლქისაგან და თუ ნამესტნიკს აქ მონაწილეობა ჰქონდა, ეს მონაწილეობა განისაზღვრებოდაო მხოლოდ სურვილით, რომ სახალხო სკოლებში სწავლის საქმე უკეთესად მოეწყოსო. წიგნაკის დასაწყისი სხვას გვიჩვენებს. ნამესტნიკი სურვილის გამოცხადებით არ დაკმაყოფილებულა: მას გაუგზავნია სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის სამოსწავლო გეგმის მთავარნი საფუძველნი და დაუვალებია, რომ ეს საფუძველნი ჯეროვნად განემარტნათ და დაწვრილებით შეემუშავებინათო მასწავლებელთა მონაწილეობით.

ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ ნამესტნიკის განკარგულება სიტყვა-სიტყვით.

„კავკასიის ნამესტნიკმა, გაიცნო რა ხალხის განათლების მდგომარეობა ამ მხარეში, საჭიროდ სცნო: პირველ-დაწყებით სასწავლებლებში ყველა სამოსწავლო საგნების სწავლება უნდა მოეწყოს მოწაფეთა დედა-ენაზე; ერთ-კლასიანი სასწავლებლების კურსი უნდა იყოს ოთხ-წლიანის ნაცვლად სამ-წლიანისა; რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს პირველი წლის მეორე ნახევრიდან ზეპირ საუბართა საშუალებით, თვალსაჩინო ღონისძიებათა და დედა-ენის დახმარებით; რუსულის წერა-კითხვის სწავლება დაწყებული უნდა იქმნას მეორე წლის პირველ ნახევრიდან, და მასწავლებელთა თანამდებობაზე უნდა იქმნან გამწესებულნი მხოლოდ იმისთანა პირნი, რომელთაც მოსწავლეთა დედა-ენა იციან“.

მკითხველი ხედავს, რომ აქ გამოთქმულია მთელი სამოსწავლო გეგმა მოკლედ, ცხადად და კატეგორიულად. ეს გარემოება მეტად უადვილებდა საქმეს მასწავლებელთა კომისიას, რომელსაც მოყვანილი მუხლები უნდა განემარტნა და ცხოვრებაში პრაქტიკული ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად. მაგრამ მან საქმე სხვა, სახიფათო კალაპოტში მოაქცია. მან დაუკავშირა თავისი გეგმა იანოვსკის ყალბ გეგმას და შესაძლოდ გახადა ამ გეგმის მკვდრეთით აღდგომა, გაცოცხლება. „რა საჭიროა ახალი გეგმა, როდესაც მხვავსივე ძველი გეგმა გვაქვს, წინანდელის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულიო“, ამბობენ პოლიტიკანები, და ცდილობენ ამ უკანასკნელის გეგმის შემოღებით თვალი აუბან საზოგადოებას, რომელიც [illegible] არის ჩაბღაული საქმეში, და მიაყურონ მისი სიძულილი პოლიტიკანურის სკოლისადმი. მასწავლებლები და საზოგადოება ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკანებმა არ უყონ რაიმე ოინი. იმ სამოსწავლო გეგმას მაინც ნუ დაემახინჯებინებთ, რომელიც ახლა საჭიროდ მიაჩნია თვით ნამესტნიკსა.

მხოლოდ ერთი ცვლილებაა ძლიერ სასურველი ამ გეგმაში. პირველს წელიწადს მაინც უთუოდ უნდა მიენიჭოს ჩვენებურს სახალხო და სამრევლო სკოლებს ის სიმარტივე სამოსწავლო გეგმისა, რომელიც გამეფებულია რუსეთის პირველ დაწყებითს სკოლაში. როგორც მკითხველს მოეხსენება, რუსულს სახალხო სკოლაში დედაენის გარდა სხვა ენა არ ისწავლება. მთელი ყურადღება ბავშვებისა დამყარებულია მხოლოდ თავის ენის შეთვისებაზე კურსის დაწყებიდან მის გათავებამდინ. ეს ღირსება რუსულის სკოლისა დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ რუსული დედაენა და სახელმწიფო ენა ერთი და იგივეა. ჩვენში კი სახელმწიფო ენა სხვაა, დედა ენა კიდევ სხვა. ამასთან სახელმწიფო ენის სწავლება სკოლებში სავალდებულოდ მიაჩნია მთავრობასა იმის გამო მთავრობის აზრით რუსული ენა არ შეიძლება არ ისწავლებოდეს ჩვენებურს სკოლებში; მაგრამ პირველ წელიწადს მაინც სრულიად უნდა ვაშოროთ თავიდან ჩვენებურს ბავშვებს მისი გაკვეთილები, რუსული ენის სწავლება უნდა დავაწესოთ მეორე სამოსწავლო წლის დამდეგიდან და რუსულის წერა-კითხვისა—მეორე წლის იანვრიდან...

ამასთან არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტი, რომ ჩვენ სკოლის საქმეში დიდს დაუდევრობას ვიჩენთ. ავიღოთ მაგალითად ტფილისის საბჭო. იგი მოვალე იყო და შეძლებაც ჰქონდა ყველაზე ადრე აღემაღლებინა ხმა სკოლის რეფორმის შესახებ; მაგრამ დღემდის ჩვენის ქალაქის მამები სწორედ მამინაცვლის გულგრილობასა და დაუდევრობას იჩენენ. არამც თუ წინ არავის არ გაუძღვნენ და გაუსწრეს, არამედ სრულებით არაფერი გაუკეთებიათ. სამოქალაქო სკოლების მდგომარეობა კი იმისთანაა, რომ დაყოვნება ნამდვილ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოთ. მკითხველს კარგად მოეხსენება, რა რეჟიმს ემორჩილებოდა წინად საბჭოს სკოლები და რა რეჟიმი გამეფდა მათში უკანასკნელს წლებში... წინად საბჭოს ჰქონდა ყველა ეროვნებისათვის ცალკე სკოლები; ქართველები იყვნენ მოთავსებულნი ერთის რიგის სკოლეში, მეორე რიგის სკოლებში ვხედავდით სომხებს, მესამე რიგისაში—რუსებსა, და სხვანი. პირველს სკოლებში საგნებს სწავლობდნენ ქართულად, მეორეში სომხურად, მესამეში რუსულად. მაგრამ ხუთი-ექვსი წლის წინად სამოსწავლო ოლქის პოლიტიკანებმა იძალადეს, ერთიანი სკოლები შერეულ სკოლებად გარდააქციეს, ერთმანეთში აურიეს ქართველები, სომხები, რუსები და სკოლა დაამგზავსეს ლომხალს იმ განზრახვით, რომ ადგილობრივს ეროვნულს ენაზე სწავლება შეუძლებელი გაეხადნათ და რუსული ენა გაემეფებინათ პირველივე დღიდან. და აკი კიდეც ასე უკუღმართად მოაწყეს საქმე. მაგრამ რათა ცოტათი გაენელებინათ თბილელებში დიდი უკმაყოფილება, გამოწვეული ამ მავნებელის ცვლილებით, თითო-ოროლა გაკვეთილი არგუნეს ქართულს და სომხურს ენასა და ჩააბარეს იგინი ცალკე, მარქაფა, მასწავლებელსა...

ეს უკუღმართი წესწყობილება სექტემბრის დამდეგიდან უნდა გაუქმდეს სავსებით და მის მაგივრად დაწესდეს პედაგოგიური რეჟიმი. მაგრამ ჩვენის ქალაქის საბჭო ჯერ-ჯერობით ყურსაც არ იბერტყავს, თითქო ეს რეორგანიზაცია მეტად ადვილი საქმე იყოს. დროა, მან თვალები მოიფშვნიტოს და ფხიზლად შეუდგეს თავისი სკოლების წესწყობილების გარდაქმნას. საჭიროა ახლავე, დაუყოვნებლივ განსაზღვრონ რაოდენობა ქართულის, სომხურის და რუსულის სკოლებისა, მოწაფენი გაანაწილონ სკოლებს შორის ეროვნების მიხედვით, და თვითეულს სკოლაში გაამწესონ იმისთანა მასწავლებელი, რომელმაც ზედმიწევნით იცის ბავშვების დედა-ენა და შეუძლიან თავისუფლად სწავლება საგნებისა ამ ენაზე. მარქაფა მასწავლებლებს ქართულის და სომხურის ენისას ქალაქის გამგეობამ უნდა სხვა ადგილები უშოვოს, რადგანაც ქართულ და სომხურ ენასა და წიგნს უნდა მიუცილებლად ასწავლიდეს თვით შტატის მასწავლებელი სკოლისა.

იაკობ გოგებაშვილი.

რუსეთი

✦ ამ ცოტა ხანში მოხდება **არა-ჩვეულებრივი კრება ფინლიანდიის სეიმისა.** კრებამ უნდა განიხილოს საკითხი ფინლიანდიის მხრით მონაწილეობის მიღებისა სახელმწიფო სათათბიროში (რ. ვ.).

✦ ყაზანში, სადაც 100 ათასზე მეტი მცხოვრებია, **ამომრჩეველთა რიცხვი** 1400-მდეა (რ. ს.).

✦ 1 აგვისტოს დონის როსტოვში **მოჰკლეს** ჟანდარმის პოლკოვნიკი ივანოვი (რ.).

✦ 9, 10 და 11 აგვისტოს ვარშავის გაზეთები არ გამოსულა. 11 აგვისტოს ვარშავასა და ვარშავის მაზრაში **ომის დროის წესები** შემოიღეს (რ. ვ.).

✦ მთელ პოლონეთს, კავკასიას, ციმბირს, თურქესტანს, ურალისა და ტურგაის ოლქებსა და დანარჩენ არა-რუსებს მომავალ სახელმწიფო სათათბიროში ეყოლებათ სულ 140 **დეპუტატი,** შიდა-რუსეთს კი—410 (ნ. ვ.).

✦ რადგან მოსალოდნელია, რომ კავკასიის რკინის გზის მუშები არ დამშვიდდებიან და მომავალშიაც გაიფიცებიან, ამიტომ ამ გზის ადმინისტრაციამ დამშეულ გუბერნიებიდან 500 მუ-

ში გამოიწერა. თვიური ჯამაგირი, სულ ცოტა, 20 მანათი ექმნება თითოს და გზის ხარჯსაც რკინის გზა კისრულობს (რ.).

◆ **პრესსის თავისუფლება** ასოთამწყობების ჟურნალის „პეჩატნი ვესტნიკ“-ის მეექვსე ნომერი **რედაქციისგან** დამოუკიდებელ მიზეზისა გამო სავსებით არ გამოვიდა (რ.).

◆ **ამომრჩეველთა რიცხვი** პეტერბურგში, სადაც $1^1/_2$ მილიონი მცხოვრებია, 9000 უდრის, ე. ი. 155 კაცზე მხოლოდ ერთს ეძლევა კენჭი. მოსკოვში კენჭი ეძლევა 11 ათას კაცს (1,200,000 მცხოვრებიდან), ოდესაში—7000-ს (450,000 მცხოვრებიდან), კიევში—7000-ს (300,000 მცხოვრებიდან). მოსკოვი აირჩევს 4 დეპუტატს. როგორც ამბობენ, არჩეული იქმნებიან ლიბერალები—ქალაქის თავი თავ. გოლიცინი და ხმოსნები შიპკინი, მურომცევი და გუჩკოვი (რ.)

◆ მთავრობამ 7 აგვისტოს **მავნე მიმართულებისა გამო** ორის თვით შეაჩერა ფინური გაზეთი „კარიალა“, რომელიც ქალაქ ვიბორგში გამოდიოდა (ს. ო.).

◆ ლიუბლინის საკომერციო სასწავლებლის მზრუნველი ფინანსთა მინისტრს შეეკითხა, შეიძლება თუ არა სამოსწავლო პროგრამაში **პოლონური ენა** შევატანინოთო. მინისტრმა შეატყობინა, სახაზინო სასწავლებელში პოლონურ ენის სწავლება არ შეიძლებაო (ს. ო.).

◆ ბრიანსკში ერთმა **სალდათმა ბილიკზე პროკლამაცია იპოვა და მთავრობას წარუდგინა.** მთავრობა დაფაცურდა და პროკლამაციის პატრონის ძებნა დაიწყო. ბოლოს გადასწყვიტეს, იმ ადგილას, სადაც პროკლამაცია ეგდო, დარაჯები დავაყენოთ და ვინც კი პირველი გამოივლის, უეჭველია ის იქნება ბოროტ-მოქმედიო. მართლა, დარაჯები დააყენეს ამ ადგილზე და ცდა დაიწყეს. ცოტა ხნის შემდეგ გამოიარა 12 წლის გიმნაზისტმა. დარაჯებმა ხელი სტაცეს და პოლკის უფროსს მიჰგვარეს. პოლკის უფროსმა „აგიტატორი“ პოლიციაში გაგზავნა. პოლიციამ ოქმი შეადგინა, ,,პოლიტიკური დამნაშავე'' ერთი დღე და ღამით დაამწყვდია პოლიციაში და მერე მშობლებს ჩააბარა. ამბობენ, ,,აგიტატორის'' საქმეს სასამართლო გაარჩევსო. (ს. ო.).

◆ ოფიციალურ გაზეთ „დონ. ობ. ვედ.“-ში დაბეჭდილია დონელ კაზაკთა მე-26 პოლკის წერილი ატამანის მიმართ. კაზაკები ბრძოლის ველიდან იწერებიან: 174 მან. გიგზავნით და გთხოვთ დახოცილ კაზაკთა ოჯახებს დაურიგეთო. გარდა ამისა, კაზაკები „უმორჩილესად“ სთხოვენ და ევედრებიან ატამანს, „რაც შეიძლება, მეტი სკოლა გახსენით და ბიბლიოთეკები დაარსეთ დონის ოლქშიო“. საბუთად კაზაკები იწერებიან: „ამ ომის დროს დავრწმუნდით, რომ იაპონელები თავიანთ განათლებითა და ცოდნით გვამარცხებენ და ჩვენც გვინდა ისეთივე განათლება მივიღოთ, როგორიც იაპონელებს აქვთ „მიღებულიო“ (ს. ო.).

◆ 7 აგვისტოს ფინლიანდიაში, კუკოლაში, სადაც რუსეთის ახალგაზდა მწერლები ცხოვრობენ, ლიტერატურული საღამო გამართეს. ლექსები და მოთხრობები წაიკითხეს ტანმა, კუპრინმა, რუკოვიშნიკოვმა, სკიტალეცმა და სხ. **პოლიციამ დროზე მოუსწრო** და საღამო შეაჩერა (ს. ო.).

◆ იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ნავთსადგურში მეზღვაურებს **ძალიან მოუჭირეს ხელი.** აფიცრებსაც ადმირალის ნება დაურთველად ქალაქში გასვლის ნება არა აქვთ. მატროსები ხომ ძნელი სანახავი გახდნენ (რ. ვ.).

◆ 7 აგვისტოს გელსინგფორსში ვიღაც უცნობებმა რამდენიმე ტყვიით **მძიმედ დასჭრეს** პოლიციელი და მიიმალნენ (რ. ვ.).

◆ 28 ივლისს რიგაში 9000 კაცი შეგროვილა და კრება გაუმართავთ. ცოტა ხნის შემდეგ ხალხს გარს შემოერტყნენ კაზაკები, ქვეითა ჯარი და არტილერია. ხალხი დაიშალა (რ.).

◆ 7 აგვისტოს **დაპატიმრებულ იქმნენ** ცნობილი მოღვაწენი: ისტორიკოსი მილიუკოვი, ექიმი სვიატლოვსკი, ბრანდტი, გორდეენკო, სვიატლოვსკი, საბლონი, ინჟენერები ულმანი და დენისევიჩი (რ. ვ.).

◆ ცნობილი საეროზო მოღვაწე, გენერალი კუზმინ-კარავაევი ძალაუნებურად **სამსახურს თავს ანებებს.** კარავაევი პროფესორად იყო სამხედრო იურიდიულ აკადემიაში (რ. ვ.).

◆ ხმა დადის, ილუს ზოგიერთ კონცესიონერს საზღვარ-გარეთ გასვლის **ნებას არ აძლევენო.** (რ. ვ.).

◆ რუსეთის ფლოტის მასალის უმეტეს ნაწილს **ფინლიანდიის ქარხნებს** უკვეთავენ (რ. ვ.).

კორესპონდენცია

ჯგერდის საზოგადოება (აფხაზეთი) რუს-ოსმალოთ ომის შემდეგ, მთავრობამ გარდასწყვიტა შუაგულ აფხაზეთში, მდინარე, კოდორისა და აალს შუა, არავინ მკვიდრთაგანი არ დაესახლებინა, რითაც აფხაზები დაშორდა ქალაქ სოხუმსა და თვით აფხაზეთიც გაჰყო ორ ნაწილად, შიგ კი—გუმისთის ნაწილში ჩაუსახლა არა-აფხაზნი: რუსნი, ესტები, ლატიშები, ბერძნები, გერმანელები და მეგრელები. ამ საშუალებით უნდოდათ დაესუსტებინათ აფხაზთა ის ვითომდა სეპერატიული მისწრაფებანი, რომელიც ბიუროკრატიის ფანტაზიის ნაყოფი იყო და ნამდვილად არ არსებობდა.

ზემოდ დასახელებულ გუმისთის ნაწილის მკვიდრნი, რომელნიც გადაურჩნენ სთათრეთში ტყვეებად გაყიდვასა, სიკვდილს და უკან, თავისს სამშობლოში დაბრუნდნენ, განაწილებულ იქმნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთ აფხაზეთში. სწორედ ამიტომაც არ არის დიდი კოლონიები კოდორისა და გუდაუთის ნაწილებში. ამ ნაწილებში თავისუფალი მიწა-ადგილი საერთო მიწად-მფლობელობის საფუძველზე მიეზომათ სოფლის საზოგადოებათ, რაც გადარჩა კერძო მესაკუთრეთ—თავად-აზნაურობას, და ამ რიგად თითქმის თავისუფალი სახელმწიფო მამული არ დარჩენილა, რის გამოც კოდორის ნაწილში (აბჟუაში) სრულებით არ არის სახელმწიფო მამულზე გაშენებული კოლონიები. სამაგიეროდ მთელს ამ ნაწილში ჩასახლებულნი არიან მოიჯარადრე მეგრელები კერძო მესაკუთრე თავად-აზნაურთა მიწაზე.

ამ უკანასკნელ ხანამდის მეგრელთ მოცილე არავინ ჰყავდა, ხოლო უკანასკნელ წლებში მათ გაუჩნდათ საშიში მტერი—მეთუთუნე სომხები და თათარ ბერძნები. ჩვენი გადატაკებული თავად-აზნაურობა ორივე ხელით ჩაუჭიდა ამ უკანასკნელთ, რადგანაც ესენი უფრო ხელ-საყრელნი არიან: საიჯარადროს ნაღდად ფულად იძლევიან და თან მეტის მეტად უტყვნი და მორჩილნი არიან,—ეტყობათ, უკუღმართ ცხოვრებას ისინი ძლიერ დაუჩაგრავს.

მეთუთუნე სომეხ-ბერძენ-თათრები ჯერ-ჯერობით დამკვიდრდნენ მხოლოდ სამს საზოგადოებაში: ჯგერდის, აძვიბჟასა და კვიტაულიზაში. ამჟამად ჩვენ ჯგერდის საზოგადოებას შევეხებით.

ამ საზოგადოების სოფლებით არის დაფენილი კავკასიონის მთის კალთები, ზღვიდან 15—25 ვერსის დაშორებით, რის გამოც ადგილ-მდებარეობა მთაგორიანია. ნიადაგი—ნაყოფიერი, წყალი—ბლომად და კარგი თვისებისა, ჰერი—შედარებით საღი და კარგი, ხეტყე აუარებელი მთელს საზოგადოებას, რომელშიაც ირიცხება 250 მოსახლე აფხაზი, აქვს შიზომილი 3320 დესეტინა მიწა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობას მიწა საკმაოდ აქვს და ბუნებაც მეტად მდიდარია, ხალხი მაინც, როგორც ყველგან აფხაზეთში, შედარებით, მეტად ღარიბად ცხოვრობს: უმეტესობის ფაცხა-სახლები გვერდზე მოქცეული, ორი-სამი ძროხა, ულელი კამეჩი, ცხენი და მისი უნაგირი, აი უმრავლესობის მთელი ავლა-დიდება. მიზეზი ასეთის სიღარიბისა შედარებით მდიდარ ბუნებასთან პირველი ის არის, რომ მდიდარს ბუნებას ხალხი შეუჩვევია მცონარეობისათვის: მთელი წლის განმავლობაში აფხაზი 5—6 თვე თუ მუშაობს, დანარჩენ დროს უსაქმოდ ატარებს; მეორეც, მეტის მეტად მცირე მოთხოვნილებანი აქვს და მესამე ყველაზე უფრო საშინელი მტერი აფხაზთა კეთილ-დღეობისა ქურდობაა: მთელს აფხაზეთში არ არის ისეთი ოჯახი, რომ, ორთა შუა რიცხვით, თითო სული საქონელი არ დაჰკარგოდეს და ამისთანა პირობაში მოდი და იცხოვრე.

თუ მკვიდრთ ცხოვრება არ არის დალხინებული, რაღა საკვირველია, რომ არც ჩამოსახლებულთ ჰქონდეს ტკბილი ცხოვრება.

ჯგერდის საზოგადოების ფარგალში არის თითქმის იმდენი ჩამოსახლებული მოიჯარადრე, რამდენიც თვით მკვიდრნი: ჯგერდში, თავად-აზნაურთა „ნადელზე“ მცხოვრებად ითვლება 105 მოსახლე მეგრელი, სომხები და ბერძნები (ბერძნები ცოტანი არიან), 80 მოსახლე, თათრები და ლაზები კი 60 მოსახლემდე, სულ 245 კომლი. ყველაზე დიდი და მთლიანი მამული აქვთ ძმათა ტატაშ და მურათ-ბეი მარშანიებს, დანარჩენ მესაკუთრეთ კი თითოს 25—200 დესეტინამდე ექმნება.

როგორც წინ მოვიხსენეთ, მოიჯარადრე მეგრელნი დასახლებულნი არიან წვრილ მესაკუთრეთა მიწაზე ჯგუფ-ჯგუფად, 5—15 მოსახლემდე თითო ადგილას. ესენი მისდევენ სიმინდის თესვას, მევენახეობას და საქონლის მოშენებას. ღალას იხდიან ყოველგვარ მოსავლის მეოთხედს, საბალახო და ხე-ტყე შინ სახმარი, უფასოდ აქვთ. შედარებით ცხოვრობენ არა ღარიბად, მხოლოდ საქმეს უშლიან სხვისი ქონების მოტრფიალენი—ქურდები. აფხაზებთან შედარებით, მეგრელებს უფრო ძმური, ამხანაგური დამოკიდებულება აქვთ.

უმეტესი წილი სომეხ-ბერძენ-თათარ-ლაზთა ჰსახლობს თავად მარშანიების მამულზე. საზოგადოდ, ესენი მისდევენ მარტო მეთამბაქოეობას, და რადგანაც თამბაქო ჩქარა აფიტებს მიწას, ისინი ხშირად იცვლიან ბინას—მ. წას. იშვიათად შეიძლება, რომ ერთსა და იმავე ადგილზე 9—10 წელზე მეტს გაჩერდნენ. სამაგალითოა მათი მუყაითობა: ხრიოკ, ეწერიან გაუვალ ტყე ჯაგით მოცულ ადგილსაც მშვენიერად იყენებენ და 5—6 წლის განმავლობაში მთელს ძალას გამოსწოვენ ხოლმე და მერე იბარგებიან. დიდი გამრჯელებიც არიან: მუშაობს ქალი, მუშაობს ბავშვი, მუშაობს მოხუცი. მაგრამ ესეთი ოჯახის ყველა წევრთა მუშაობაც არა კმარა, რომ ოჯახმა გაარიანად ირჩინოს თავი, რის გამოც ხშირად მუშებს ჰქირაობენ. დღიურ მუშებად ჰყავთ ხოლმე, უმთავრესად, რუსის ბოსიაკები და ლეკაკები, რომელთა სისუსტით—არყის სიყვარულით—სამაგალითოდ სარგებლობენ.

თუ მოიჯარადრე მეთუთუნენი დღიურ მუშათათვის წურბელად გადაქცეულან, სამაგიეროდ, ფაბრიკანტები მათ კისერზე წამოსჯდომიან და უდიერად ყვლეფენ.

რადგანაც თამბაქოს წარმოება დიდს თანხას თხოულობს და ამ თანხას მოიჯარადრენი მოკლებულნი არიან, ამიტომ იძულებულნი ხდებიან თვისი თამბაქო დარგვისთანავე მიჰყიდონ მდიდარ მეფაბრიკეს და წინადვე ფული აიღონ, რითაც თავისავე ხელით უღლს იბრიან: მეფაბრიკე ისე ექცევა მათ, როგორც გაუმაძღარი მგელი მოითხოვს,—დაწუნება თუთუნისა, პირველ ხარისხისა მეორე ხარისხად გარდაქცევა, წონაში მოტყუება, ფასის დაკლება, რა და რა ხრიკებს არ გამოიგონებს ბურჟუა!

საშინელი სიღარიბე და სიბინძურე სუფევს სომხების კოლონიებში, მაგრამ ერთი მისაბაძი ჩვეულება კი აქვთ: სადაც ათი-თხუთმეტი მოსახლე დამკვიდრდება, იქ ხელადვე ჩნდება სკოლა და ეკლესია.

რადგანაც ჯგერდის საზოგადოებაში აფხაზთა უმრავლესობა მაჰმადიანია, ამიტომ აფხაზნი თათრებს უფრო ეწყობიან, ვიდრე სომხებს: რჯული ერთებს.

ამ საზოგადოებაში აფხაზ-მეგრელთათვის არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა.

ალი-მურზა-ხელამ-ოღლი.

დაბა ოჩამჩირე. როგორც წინადაც გწერდით, აქედ საშინელი აკ-კაცობა და ქურდობაა... ქურდებისაგან შეწუხებულმა ხალხმა უკანასკნელ საშუალებას მიჰმართა: მთავრობის ნება-რთვით ყოველ ათ მოსახლეზე აირჩია თითო კაცი და მათს ყოფა-ქცევაზე თავად-ყურის ჭერა დაავალა. „ათის თავებს“, ჩვეულებად წოდებულთ, ასის თავები, ანუ „ნაფიცი მსაჯულები“ დაუნიშნა, რომელთა მოვალეობაა ქურდობა-ავაზაკობის შესახები საქმეების გარჩევა. მთავრობამ ამასთანავე ნება მისცა მატერიალურ სასჯელთან ერთად ქურდებს ზნეობრივი სასჯელიც უნდა მიაყენონ. მაგალითად, ბოიკოტი, სასოფლო გზების შეკეთება და სხვანი. თუმცა ყველა ამას ადგილობრივმა მთავრობამ ნება დართო, გარნა ზოგიერთი ჩვენი კეთილშობილნი წინააღუდგნენ ამ საშუალებას: როგორ თუ „ერთობის“ მსგავსი რაღაც შემოიტანეთო. ყველაზე უფრო ცხარობენ თავადნი—რაჟდენ ანჩაბაძე, წოურბეგ ძიაპშიფა და აზ. კადირბეი მარღანია. ამ სამმა პირმა მტკიცე უარი განაცხადეს, ჩვენს სამფლობელოში—ჭილოუს საზოგადოებაში—„ერთობას“ აღარ შემოვუშვებთო! ამ საზოგადოების გლეხებმა კი შეუთვალეს: ჩვენს თავს ჩვენვე მოვუვლით, თქვენ თქვენთვის ბრძანდებოდეთო, ნურც ტირილში, ნურც ლხინში ნუ მოგვეკარებითო. ვნახოთ, რითი გათავდება საქმე.

ალი.

დაბა ხაშური. 9 აგვისტოს ბაზარში ქეიფობდა ვინმე წერეთელი და ჰაერში რევოლვერს, ისროდა. ამ დროს საიდანღაც გაჩნდნენ „პოლიციელები“ და ჟანდარმები ხუთის ჯარის კაცით, და წერეთლის დაჭერა ძალნდომეს. წერეთელი გაუსხლტა მათ ხელიდან და სოფლისაკენ გაიქცა, მაგრამ სტრაჟნიკები და ჯარის-კაცები გამოედევნენ. წერეთელის დაჭერა შეუძლებელი შეიქმნა. „სტრაჟნიკებმა“ შიგ შუა სოფელში მოურიდებლად ასტეხეს სროლა, ტყვია მოარტყეს იქვე მდგომ პატარა, 7 წლის ბიჭს,—მუტუშა ძინძიბაძეს და სასიკვდილოდ დასჭრეს. ბავშვი მეორე დღეს გარდაიცვალა.

წერეთელი იმ დღესვე დაიჭირეს.

ორი დღის შემდეგ, გორში გაამგზავრეს.

11 აგვისტოს ხაშურელებს 30 კაზაკი ეგზეკუციად ჩამოუყენეს.

ხალხმა მთელი ბაზრის საქმე მშვენივრად მოაწესრიგა და უსინდისო ვაჭრობასა და მოტყუებას აქ ადგილი აღარა აქვს.

კვირა-დღეობით დუქან-ბაზარი იკეტება და ნოქრებს შეძლება ეძლევათ თავისუფლად ისარგებლონ დროთი და გაჰვითარდნენ. სამწუხაროდ ნოქრები ვერა სარგებლობენ ამ თავისუფლებით და დროს ლაზღანდარობაში ატარებენ. მართალია, „ხაზეინებმა“ კვირაობით დუქნები კი დაკეტეს მაგრამ სხვა დანაპირები კი ნოქრებს აღარ შეუსრულეს, დავიწყებას მისცეს. ასეა თუ ისე, დაბა ხაშური, „სადათას ძილით“ არის შეპყრობილი.

ნ. სიხარულიძე.

დ. ცხინვალი. 12 აგვისტო. ამას წინად ს. ერედვში, ღამით ჩასაფრებულ რაზმელებს წააწყდა წითელი რაზმის ხუთი შეიარაღებული ბიჭი. შავ-რაზმელთაგანმა ილიკო ფავლენიშვილმა თოფი რაშდონჯერმე დასცალა. მას მიჰბაძეს სხვებმაც და, რადგანაც ძალიან ბნელოდა წითელმა რაზმელებმა ვერ შეამჩნიეს, თოფებს საიდან ისროდნენ. ამდროს წითელი რაზმელები გაიფანტნენ. გ. კასრაძეს კი თოფის ხმაზე იერიში მიჰქონდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა და ილიკო ფავლენიშვილისაგან ნასროლი თოფის ტყვია მოხვდა თვალში და კეფაში გავარდა. ამ დროს შავრაზმელებს კაზაკებიც მიეშველებოდნენ და წითელი რაზმელები დაიფანტნენ.

10-ს ამ თვეს აქ ომის წესები გამოცხადდა. ჯგუფად შეგროვება აკრძალულია და საღამოს რვა საათის შემდეგ ქუჩაში გავლა არავის შეუძლია.

ქარ-ცეცხლი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

16 აგვისტო.

პორტსმუთი, 15 აგვ. ვიტტეს არ სჯერა, რომ იაპონიამ ან უარი სთქვას კონსტრიბუციაზე, ან სხვა პირობები წამოაყენოს და კონსტრიბუციის დაუკლოს.

ტოკიო, 16 აგვ. სასამართლომ კანონიერად იცნო შემდეგ გემების დაჭერა: ,,ვაკლეთ'', ,,ბეტინგტონი'', ,,ვენუსი'', ,,იბბლაბეი'' და ,,აფროდიტა''.

პორტსმუთი, 16 აგვ. მოვიდნენ ცნობილი მდიდარი ვანდერვილდი და როკფელერის და სიტის ეროვნულ ბანკის წარმომადგენელი.

ნიუ იორკი. რუზველტმა ინახულა გორგანი და ელაპარაკა ფინანსების შესახებ. რუზველტის აზრით, ფინანსისტებმა ორივე სახელმწიფოს რომ ფულის სესხებაზე უარი უთხრან, ზავი შესაძლებელი გახდება.

პორტსმუთი, 15 აგვ. კონფერენცია ან სამშაბათს შეიკრიბება, ან ოთხშაბათს. ამბობენ, რუზველტმა ხელმეორედ მიჰმართა მიკადოსაო.

პეტერბურგი, 16 აგვ. საგლეხო ბანკს ნება მიეცა 15 მილ. მანათს $4^0/_0$-იან სესხის გამოცემისა

გაძლიერებულ დაცვის წესები შემდეგშიაც იქმნება იმ ადგილებში, სადაც ახლა არსებობს 1906 წ. 4 სექტემბრამდის.

ვარშავა, 16 აგვ. ხვალ ხარბინიდან დაბრუნდება სასანიტარო რაზმი, რომელიც ვარშაველთა და ლოძელთ ხარჯით იყო გაგზავნილი.

მინსკი, 16 აგვ. მინსკის გუბერნატორმა გაძლიერებულ დაცვის დროის სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა.

ლონდონი, 16 აგვ. „ტაიმს“-ში დაბეჭდილია ახალი წერილი ტოლსტოისა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ საკითხის შესახებ.

პეტერბურგი, 16 აგვ. თერგის ოლქის უფროსად ტოლსტოვის მაგივრად დაინიშნა გენერალი კულებაკინი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. (11 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ახალი წიგნი —
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“.
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა“, ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია“.
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების „შრომა“-სი ამით აცხადებს, რომ, რადგან 31 ივლისს არ შესდგა ამ საზოგადოების წევრთა კრება, მეორე კრება დანიშნულია კვირას, 21 აგვისტოს, საღამოს $6^1/_2$ საათზე ქ. ქუთაისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში, განსახილავად წლიურის ანგარიშებისა და საზოგადოების სკოლის საჭიროების შესახებ სხვადასხვა კითხვების გადასაწყვეტად. ვსთხოვთ როგორც წევრთ, აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს საზოგადოების ერთი წლის მოქმედების გაგება, დაესწრონ აღნიშნულ კრებას. (5—2)

ვ. შექსპირის თხზულებანი —
ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი
„რიჩარდ“, „მაკბეტ“, „კორიოლან“, „იულიოს კეისარი“, ,,ანტონიოს და კლეოპატრა'' და „ოტელო“
იყიდება ცალკე წიგნაკებად **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.**
იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია ,,ვაი ჭკუისაგან'', დ. ყიფიანის თარგმანი, დრამატიულ საზოგადოების გამოცემა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს

ორ პრემიას
200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1, საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორგინალური, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.
2. პიესა სამ მოქმედებიანზე ნაკლებ არ უნდა იყოს.
3. პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელობაზე, რაიმე დევიზის ზედ-წარწერით: პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.
შენიშვნა კონვერტს მხოლოდ მაშინ გახსნიან, როდესაც პიესა ცნობნლ იქმნება ჯილდოს ღირსად.
4. პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა დანიშნულია არა უგვიანეს 1906 წ. პირველი იანვრისა
5. დრამტიულ საზოგადობის გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემით დაჯილდოვებულ პიესის სცენაზე წარმოდგენისა.
6. დაჯილდოვებულის პიესის ავტორს გონორად მოეცემა თვითეულის წარმოდგენის მთელის შემოსავლის $5^0/_0$ პროცენტი.
7. შედეგი პიესისების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—15)

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное молоко Нестле.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5